# თეატრი და ცხოვრება

თეატრი, კინო, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება

| № 11 | ფასი 25 კაპ. | მაისის 17—24 | 1925 |
| --- | --- | --- | --- |




**ნიკო ლომოური**

**მწერალ-მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე.**

გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო. (დაკრძალულია გორის სამების ეკლესიის გალავანში).

ხუთმეტი წლის XV თავის აღსანიშნ.

1910—1925

## ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობის 15 წლის თავი შესრულდა.

ქართული ბეჭდვითი ორგანოსთვის, რომელსაც, საერთოდ, ისტორიამ განსაკუთრებული მოვალეობანი დააკისრა და არსებობის არაჩვეულებრივი ძნელი პირობები შეუქმნა, ეს მანძილი მეტად თვალსაჩინოა და ღირსი საზოგადოების ყურადღებისა.

არ არის საჭირო „თეატრი და ცხოვრების“ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მნიშვნელობაზე სიტყვის გაგრძელება: მეფის რეჟიმის დროს ეს თითქმის ერთად-ერთი ჟურნალი იყო, რომელიც ყოველნაირად სცდილობდა შესაფერი სამსახური გაეწია ჩვენი სათეატრო ხელოვნებისათვის. ჟურნალი დღე-მუდამ მხურვალე აგიტაციას ეწეოდა საზოგადოებაში სცენის სასარგებლოდ და თეატრისადმი სიყვარულს ულვიძებდა ფართო მასებს.

მას ყოველთვის შეძლებისდაგვარად მაღლა ეჭირა ხელოვნების ჩირაღდანი და ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში მისი ხმა და სიტყვა უხვად ვრცელდებოდა.

თეატრალურ ხელოვნების გარდა, ჟურნალის ფურცლებზე ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდა მშობლიურსა და უცხოეთის პოეზიას, ბელეტრისტიკას, მხატვრობას, კრიტიკას.

ამნაირად, ჟურნალი უაღრესად ხალხურსა და მშრომელთა საქმეს აკეთებდა. მან თავისი წვლილი შეიტანა მდაბიო ხალხთან ხელოვნების დაახლოვების საქმეში და არა ერთი და ორი სახალხო მწერალი გამოზარდა ამ დროის განმავლობაში, როგორც ჩვენს დედაქალაქში, ისე საქართველოს შორეულ კუთხეებშიაც.

15 წლის განმავლობაში ჟურნალში ბევრმა ახალგაზრდამ დაიწყო მწერლობა. ზოგი მათგანი, უკვე საკმაოდ გაზრდილი, დღეს ხელოვნების სხვადასხვა დარგს ამშვენებს; არ არის ცოტად თუ ბევრად ცნობილი მწერალი, რომელსაც თავისი ნაწარმოები ხსენებულ ჟურნალში არ მოეთავსებინოს.

ბევრი ქარ-ტეხილი გადახდენია ჟურნალს 15 წლის განმავლობაში, მაგრამ დაბრკოლებანი გადაულახავს, ნივთიერად ხელის შემშლელი პირობები დაუძლევია და ხელოვნების მსახურის უქრობელი ჩირაღდანი დღემდე მოუტანია.

მხოლოდ რედაქტორის დაუღალავს ენერგიას და მტკიცე რწმენას შეეძლო ჟურნალი მძლე გამოეყვანა უამრავ დაბრკოლებებში, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ეკონომიურ საერთო დაქვეითების დროს, ყოველგვარ სუბსიდიის გარეშე, იგი იძულებული იყო ისევ მკითხველთა თანაგრძნობას დაყრდნობოდა და საკუთარის ძალღონით განევგრძო ეკლიანი გზა.

დღეს, თავის არსებობის 15 წლის თავზე, რედაქციას განზრახვა აქვს კიდევ უფრო გააფართოვოს სამოქმედო ფარგალი, გააუმჯობესოს ჟურნალის შინაარსი და დროგამოშვებით სარეპერტუარო პიესების კრებული გამოსცეს.

ქართულ მწერლობისა და ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელთაგან შემდგარმა კრებამ გაითვალისწინა ჟურნალის ესოდენი დამსახურება და გადასწყვიტა მისი არსებობის 15 წლის თავი შესაფერისად აღინიშნოს: ა) 28 მაისს 1925 წ. რუსთაველის თეატრში გაიმართოს საიუბილეო საღამო საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად და ბ) ამავე დღისთვის გამოსცეს ჟურნალის საიუბილეო ნომერი გაფართოებულის სახით და საგანგებოდ შერჩეული მასალით.

ჟურნალმა კიდევ დიდხანს უნდა ზიდოს სამშობლო თეატრისა და ხელოვნების მსახურის მძიმე ტვირთი.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, **საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მსახიობი: ვასო აბაშიძე**

თავმჯდომარის მოადგილენი: **ხეით დევდარიანი**, **ვარლამ ძიძიგური**

პრეზიდიუმის წევრები:
**ეფ. მეხი**
**გ. ბოკერია**
**ძ. ანდრონიკაშვილი**
**ხ. ახვლედიანი**
**ელ. მამაცაშვილი**
**ს. წერეთელი**

**კომიტეტის წევრები** (ანბანით): **ა. ახნაზაროვი, ვ. ბარნოვი, ბაჩანა, ი. ბერიშვილი, განდეგილი, ივ. გომართელი, ნ. გოცირიძე, ი. გრიშაშვილი, კ. თავართქილაძე, ვ. თევდორაშვილი, ბ. თევზაია, მ. თოიძე, იასამანი, ალ. იოხელიანი, პ. ირეთელი, ია კარგარეთელი, მ. ლობჟანიძე, ივ. მარკოზოვი, კ. მაყაშვილი, შიო მღვიმელი, ნარკანი, ტრ. რამიშვილი, ს. სალირაშვილი, ოლ. სვანიშვილისა, ხომლელი, ა. ციმაკურიძე, ნინო ჩხეიძე, ზ. ჭიჭინაძე, მ. ჭიაურელი, ან. წერეთლისა, ლ. ძიძიგური, გ. ჯაბაური.**

საიუბილეო კომიტეტის მდივანი: **ა. ციხისთავი.**

1910—1925
წელიწ. XV
№ 11
(367)
ფასი 25 კ.

# თეატრი და ცხოვრება

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება

ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით—6 მან. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილ შეიძლება. წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად: სარეპერტუარო პიესების კრებულს „ცხოვრების სარკე“-ს 4 წიგნს.

რედაქციის მისამართი: რუსთველის პრ., № 34
„თეატრი და ცხოვრება“,
იოსებ იმედაშვილი.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება

დაარსდა 1910 წ. | მაისის 17—24 | გამოცემა 1925 წ.

**იოსებ იმედაშვილი**

## მწერლობის გაჯანსაღებისათვის

პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხია: **ვინ როგორ სწერს, რის შესახებ, რისთვის?**

ეს კითხვა რომ ყველა კალმოსანს გარკვეული ჰქონდეს—დღეს ჩვენი მწერლობა უფრო დახვეწილი და ნათელი იქნებოდა.

ყველა ერის მწერლობას ყოველ ხანაში თავისებურება, განსაკუთრებული ხალხოსნური თვისება ახასიათებდა.

ჩვენი დღევანდელი მწერლობის შესახებ ეს ითქმის?

რა თქმა უნდა, არა.

და როგორ შეიძლება ჩვენი მწერლობა თავისებურობის, ხალხოსნურობის და ნათელ აზროვნების გამომსახველი იყოს, როდესაც იგი სრულიად მოწყვეტილია მშობლიურ ფუძეს, ხალხის სულიერ-გონებრივ და ისტორიულ-ეროვნულ თავისთავადობის საძირკველს.

დღემდე ჯერაც კიდევ არა გვაქვს შეკრებილი ყოველივე ის, რაიც ამის ფუძეს წარმოადგენს: არა გვაქვს ასხულ-ჩაწერილი ხალხურ შემოქმედების წმინდა საუნჯენი იმ სისწორით, იმ გამოთქმით, როგორც ხალხი ხმარობს. თუ ჩაწერილია რამ, უმეტეს შემთხვევაში ჩამწერავის სიტყვით. ეს კი არ გამოდგება: ხალხურ შემოქმედების ყოველ ბგერას, ხმის ყოველ შეჩერებას, პაუზას თავისებური ელფერი აქვს, თავისი შინაარსი და ვინც ამას ვერ ჩასწვდება—მისთვის ხალხურ შემოქმედების სიღრმე-განი, მისი მსოფლმხედველობის, ენამჭევრობის და ნათელ აზროვნების გზები დახშული იქნება.

ვიდრე ეს დიდი საქმე შესრულებული არა გვაქვს, განა ნამდვილი ხალხურ-ეროვნული და ამავე დროს მსოფლიო მნიშვნელობის მწერლობის შექმნაზე ფიქრი შეიძლება?!.

ამიტომაც არის, რომ დღეს წარსულთან შედარებით თუმცა ბევრი წიგნი იბეჭდება, ხალხშიაც რიგდება, მაგრამ თითქმის ცხრა მეათედი იმ მწერლობის, ახალი ყაიდის მწერლთა ნაწერ-ნააზრისა ხალხის სულსა და გულს ვერა სწვდება.

ანდა როგორ მისწვდება, როდესაც თითქმის ყველა მწერალი ჩვენს ცხოვრებას უცხოური სათვალეებით ჩასცქერის, თუმცა ქართული ასოებით, მაგრამ უცხოური სიტყვებით უამრავად შეკოწიწებულ გამოთქმებით მწერლობს.

ასეთ მწერლობას ხალხი ვერ დაეწაფება.

ჩვენი მწერლობა, სამწერლო ენა, თვითაზროვნება უნდა გაჯანსაღდეს, ხალხის სულს დაუბრუნდეს, მრავალ საუკუნეთა მსვლელობით ხალხურ სიბრძნით შექმნილ საგანძურში ჩაიხედოს.

ამ საგანძურში თავმოყრილია მსოფლიო აზროვნება, ბევრზე ბევრი უცილო ჭეშმარიტება.

ეს საგანძურია ხალხური შემოქმედება—იგავ-არაკები, ზღაპრები, ანდაზები.

ამ ხალხურ შემოქმედების სისწორით შეკრებას სასწრაფოდ უნდა შეუდგეთ: რაც ჩაწერილია, მათი ვარიანტები სინამდვილით აღვადგინოთ, გადმოვიღოთ ხალხის მთლიანი შემოქმედება უკლისად, უხორცმეტოდ.

ამ დიდი საქმის შესრულება განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობისა და მასწავლებლობის წმინდა მოვალეობაა.

* * *

მაგრამ მარტო ეს როდი კმარა!

მოგეხსენებათ, დღევანდელი წიგნის ბაზარი ახალ მოდის სხვადასხვა „მიმართულების“ „მწერლებმა“ დაიუფლეს.

ნიჭიერმა რომ უნიჭო უნდა გასდევნოს, მისი ადგილი დაიჭიროს —ეს სასიხარულოა და საჭიროც:

„ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, —ეს სადაო არაა, სადაო ისაა ეს **„სხვა“** რამდენად ღირსეული შემცვლელია წინაპრებისა.

თამამად ვიტყვით, რომ დღეს გამოსულ მწერალთა უმეტესობა, თუნდა ისინი, რომელნიც მუშისა და გლეხის სახელით სცემენ ჩოგანს, არა თუ ვერ შეენაცვლენ თავის წინაპართ, ვერც კი მისწვდენ.

ახალი სახეობა შექმნეს, ახალი გზა?—არც ერთი, არც მეორე.

მუშურ-გლეხური, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ხალხური (ამაში ვგულისხმობთ **პროლეტარულს**) მწერლები ჩვენ ბევრი გვყავდა, არა მხოლოდ მდაბიო წრიდან გამოსული, არამედ მაღალი წრიდანაც კი.

მოვიგონოთ იოსებ დავითაშვილი (1850—87), ეს ნამდვილი **პროლეტარული** პოეტი, მუშა-მწერალი, რომელიც იტყოდა: „მუშა ვარ და კიდეც ვიცი მუშის გულის პასუხები“ და რომელიც ჯერ კიდევ 70—80-იან წლებში მუშათა გათვითცნობიერებას ემსახურებოდა არა მხოლოდ კალმით, საქმითაც როგორც მუშათა მოძრაობის ერთი პირველი შექმნელთაგანი.

და დღევანდელი მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დროსაც კი განა შედევრად არ ჩაითვლება გრ. ორ.

ბელიანის „მუშა ბოქულაძე“, ილია ჭავჭავაძის „მუშა“, „ერთს ბედს ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ“, „შრომის სამეფო“ („აჩრდილი“-დან), აკაკის მუშურ ლექსების მარგალიტები, რაფიელ ერისთვის გლეხური ჟღერა ფანდურისა, რაზიკაშვილების სიმღერები და სხ., აღარას ვამბობთ ირ. ევდოშვილის, ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის და სხ. შესახებ. დიაღ, ბევრზე ბევრი მარგალიტია დღეს მივიწყებული, რომელთაც გამოძებნა, გამორჩევა უნდა. ამ მწერალთა ბევრი ნაწარმოები ჯერ კიდევ არა ერთ ათეულ წელიწადს ასაზრდოვებს მოზარდი თაობის სულსა და გულს.

**რევოლიუცია** ძლიერ კარგია, მაგრამ მისი დანიშნულება ის კი არ არის ყოველი ღირსეული დაამხოს, ნიჭიერი დააფოლოს, უღირსი გააყვინიზოს, უნიჭოს გზა ფართე მისცეს...

ხელოვნების და მწერლობის მწრამსი, ჩვენი მშობელი ხალხის ინტერესი მოითხოვს,—და ამას აღიარებს ხალხის ყველა უერთგულესი მაღალგონიერი შვილიც,—ყოველივე ღირსეული წარსულისა მივიღოთ, ამით ახალს ნიადაგი გავუნოყიეროთ!

ჩვენი მწერლობა გზადაბნეულია, დაავადებული—განსაღება ეპირვება!...

**გიორგი სუხიშვილი**

# ეკლიანი გზა

I

გაზაფხულის მზეს ახლად ჰქონდა მოფენილი ნაზი სხივები სოფელ ახალ-უბნისთვის, როდესაც ამავე სოფლის მცხოვრებელ თედო სეხნიაშვილის სახლთან მივიდა ჭაღარა თმით შემოსილი გლეხი-კაცი, გადაეყუდა ღობეს და წყნარად გადასძახა:

—ჰაი, თედო, თედო.

პირველი ძახილი ბავშვების ჟრიამულში ვერ გაიგეს თედოს სახლში, მაგრამ როდესაც ხელმეორედ მოისმა გარედან ხმა, თედომ გააჩუმა ბავშვები და უთხრა თავის ცოლს, რომელიც ბუხართან დილის საჭმელს აკეთებდა:

—გაიხედე, დედაკაცო, მგონია ვიღაცა იძახის.

დაიჭრიალა თედოს მიწურ სახლის კარებმა და გარეთ გასვლისთანავე დიასახლისმა დაინახა ღობესთან მეზობელ სოფლის მცხოვრებელი გლეხი, რომელიც შორეულ ნათესავად მოხვდებოდა თედოს ოჯახს.

—დილა მშვიდობისა!—მიესალმა მოსული და აღარ დააცადა პასუხის მიღება, რომ თანავე დაუმატა: თედო შინ არის, ცოტა რამ საქმე მაქვს.

—შინ გახლავს, მობრძანდით სახლში,—შეიპატიჟა დიასახლისმა: რა უცხოსავით შორიდან იძახით.

ამ ლაპარაკში თედოც გამოვიდა გარეთ, ჩამოაშორა ძაღლი, რომელიც ცუდათ უცქეროდა მოსულს და სტუმარ-მასპინძელი სახლში შევიდნენ.

—აქა მშვიდობა.—შესვლისთანავე სთქვა სტუმარმა და ჩამოჯდა ძველებურ ტახტზედ, რომელსაც თითქმის ნახევარი სახლი ეჭირა.

—სხვა, ჩემო ალექსი, ხომ მშვიდობით კარგათ? გამოელაპარაკა მასპინძელი.

—გმადლობთ, ჩემო თედო, თავად კარგათ ოჯახით, ბავშვებით?.

—კარგათ, გადღეგრძელა ღმერთმა.

რა ამბავია თქვენსკენ?

—შვიდობა!

—მოსავალი?

—მოსავალსაც არა უშავს-რა. ვისაც მამული აქვს, მოსავალიც კარგი ექნება. ცოტა უმამულო ხალხი ვერ მივდივართ იოლად. ახოში *) სიმინდი რომ მითესია, პირი კარგი უჩანს, თუ ამინდი იქნა... მაშინ არა მიშავს-რა, სოფელთანაც რომ ქერი მქონდა, სულ ერთიან წამილეკა წყალ-დიდობამ...

—წყალდიდობამ შენც დაგაზიანა? შეეკითხა თედო.

—როგორ არა, ვენახი თავათ არ იყო, შენც კარგათ იცი, და ნახევარი ი ვერანა ლიახვმა წამართო, ორიოდე ნამყენი ხილი მქონდა ჩაყრილი, სულ ერთიანათ მოაზღვავა. რაღა ეგ მეპირვებოდა...

—აი, ოცდა თხუთმეტი წლის კაცი ვარ, დაიწყო თედომ, და ეგეთი ადიდებული წყალი არ მინახავს; რა შენი, რა ბერიანთ მიწები, რა წკამაანთ ვენახი, მერე სულ ხელ-მოკლე ხალხისა... ჩვენებიანთ გოგიას ორი მოზვრის მეტი არა ებადა-რა ქვეყანაზედ, ამობდა ამათ დავყიდი, ცოტა ვალსაც ავილებ და იქნება როგორმე ხარები ვიყიდოვო და ეშმაკათ ჩუკრიანთ ხევში მოჰყოლოდენ იმ წყალდიდობას, ორთავე იქვე ჩამხრჩვალიყვნენ, საწყალი გოგია ისრე ბღაოდა როგორც ძროხა...

არა სასიამოვნო ლაპარაკმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და ყველანი გაიტაცა თავის საკუთარმა ფიქრებმა...

თედო,—დაარღვია სიჩუმე ალექსიმ: ცოტა რამ საქმე მაქვს, იმიტომ გადმოველ ამ დილით, არსად გამასწროს მეთქი.

—ვისაქმოთ, ჩემო ალექსი,—მხიარულად მიუგო თედომ: განა დაგზარდები საქმეზე?

—ჯერ შარშანვე მინდოდა გამეკეთებინა ერთი ურემი, მაგრამ ვერ მოვახერხე, ოჯახის ხარჯსა და უბედურებას ვეღარ ამოველ, წლეულობით კი ძალიან დამჭირდება, ჭირნახულმა ხელი არ მომცა, ეს ჩემი ბიჭის ბაღლებიც მე შემომეხვივნენ, მინდა ცოტა რამ შევამზადო, იქნებ მაგითი როგორმე გამოვიყვანო სახლი იოლათ,—სთქვა ნაღვლიანად ალექსიმ.

თედომ დააპირა უარის თქმა ურმის გაკეთებაზედ, მაგრამ წარმოუდგა თედოს, რომ ალექსა ამ სიბერის დროს მარტოკა დარჩა, მოხუცებული ცოლით, ქვრივი რძლით და სამი პატარა შვილის-შვილით, რომ ორი ახალგაზრდა შვილი დაუხოცა მთავრობის ხალხმა, ერთი ქალაქს მეორე ტყეში წითელ რაზმში ყოფნის დროს, ორთავე მთავრობის წინააღმდეგობის გაწევისათვის. წარმოუდგა, რომ ალექსი თუ ხელს არსაიდან არ მიაშველებდა სახლს, ოჯახი ელუპებოდა და თუმცა ალექსის ძალა არ დაუტანებია თედოსთვის, მაგრამ ამ უკანასკნელმა თანხმობა განაცხადა და დაპირდა ნათხოვნი საქმის შესრულებას.

—ისეთი მადლობელი ვარ, ჩემო თედო, ვითომც გეჩუქებინოს, ეუბნებოდა ალექსი სიხარულით, ფულს ზოგს ეხლა მოგცემ, ზოგს როცა გააკეთებ მაშინ, და ერთი

*) ახო—ტყის პირას ხეებ გაჩეხილი მოხნული. ახოების გაკეთებას მისდევს სოფლის უმამულო ხალხი.

კარგი მალარიჩიც ჩემზედ იყვეს; ღმერთიმც გიშველის, რომ ცარიელი არ გამისტუმრე..

—როცა ჩაგაბარო ურემი, მაშინ შენი იყოს მალარიჩი, ეხლა კი ჩემი, ჩემო ალექსი, მერე ისეთი ოსური არაყი მაქვს, იმაზედ კარგი არსად იყოს, ნათლი-მამამ ჩამომიტანა.

თუმცა ალექსა დიდ უარზე იდგა, მაგრამ თედომ არ გაუშვა პურ-უჭმელი და კარგად მოშუადღევებული იყო როცა ჩვენი ალექსა ჯეელი ბიჭივით ჩქარის ნაბიჯით მიეშურებოდა გახარებული თავის სოფლისაკენ, და ვერც კი ამჩნევდა, თუ როგორ, სასტიკათ იკბინებოდა საავდროთ შემზადებული მზის მოკამკამე ნაზი სხივები.

II

თედო სეხნიაშვილისთანა ღარიბი ოჯახი ნაკლებათ მოიძებნებოდა ამ სოფელში. ოთხი პატარა შვილი და ცოლი ძლივს გამოჰყავდა დღიურად. თითონ თედოც უმამულო კაცი იყო და მისი ცხოვრების ნაკლულოვანებაც ამ უკანასკნელ გარემოებას მიეწერებოდა.

თუმცა თედო დღე და ღამ არ ისვენებდა, შრომობდა, თავს არ ზოგავდა დაცემულ ოჯახის ფეხზე ასაყენებლად, მაგრამ ვერ მოახერხა, ღარიბი ოჯახი ისევ ღარიბათ რჩებოდა, მძიმე და აუტანელ მუშაობისაგან-კი თედო უდროოთ იხრებოდა წელში და სიბერის გზას ადრე დასდგომოდა...

III

ორი კვირის შემდეგ თედომ დაირეკა თავისი გამხდარი ხარები, გაირჭო წელში გალესილი ცული და მიხვეული გზით გასწია ტყისაკენ, სადაც სასწრაფოთ უნდა დაეჭრა ადრევე შეთვალიერებული ურმის გასაკეთებლად საჭირო ხის მასალა.

თუმცა ხარები სიბერის გამო ძლივს მიდიოდნენ წვიმისაგან გაფუჭებულ, ორმოებათ ქცეულ ტალახიან ტყის გზაზედ, მაგრამ თედო მაინც ჩქარა მივიდა დანიშნულ ადგილს, კარგი ფალავანივით დაერია წელში გამართულ ხეებს და ათიოდე ცულის მოქნევით ძირსა სცემდა მათ.

ხშირად თედო გაჩერდებოდა, სმენათ იქცეოდა და დარწმუნებული, რომ ის ტყეში მარტო არის, მთელის ძალ-ღონით ეცემოდა ცულს... და მხოლოდ ყრუთ გაისმოდა, სადღაც შორს, ჩამოვარდნილი ხის ხმაურობა...

თედო მთლად ოფლში ცურავდა გამალებული მუშაობისაგან, მაგრამ ამას არაფრად აგდებდა, თუ განზრახულ საქმეს სისრულეში მოიყვანდა და საჩქაროდ მოშორდებოდა ამ ჯოჯოხეთად გადაქცეულ ადგილს, რადგან დარწმუნებული იყო, თუ ვინმე მოასწრობდა, კარგი დღე არ დაადგებოდა.. წარმოუდგა ოქმი, ჯარიმა, დამწყვდევა, ცემა და სხ. თუ სხვა დროს ნახევარ დღეში გააკეთებდა, თედომ ეხლა ერთ საათში შესძლო.

დაჭრილი ხეები წნელით უღელს გამოაბა და გამზადებულ ხარებს დიდი ხანი აღარ უკლდათ სახლისაკენ წასვლა, რომ თედოს ფეხის ხმა შემოესმა. მიიხედა და შეამჩნია შეიარაღებული ტყის მცველი...

თედოს ტყვია რომ მოხვედროდა, ბევრად ერჩივნა ვინემ ქურდობაზე დაჭერვა.

—კიდევ არ იშლი?!—დასჭყივლა ტყის მცველმა და მოინდომა ცულის წართმევა; თედომ ანება ხარებს თავი, ტყეს შეეფარა და იქიდან დაიწყო ხვეწნა:

—შენი ჭირიმე, ნუ გინდა ჩემი წვრილ-შვილის ცოდო, ნუ ინებებ ჩემს დაღუპვას, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს...

თითქოს თედოს სიტყვებმა იქონია გავლენა ტყის მცველზე, შეჰპირდა ხელს არ გახლებო და როდესაც გახარებულმა თედომ ხარები ადგილიდან დასძრა, ეცა ტყის მცველი წელში გარჭობილ ცულის წასართმევათ, როგორც მთავარ საბუთს ტყეში შეშის დაჭრისა, მაგრამ თედომ ისრე მძლავრათ ჩაჰკიდა ხელები, რომ თითებს თუ დასჭრიდნენ, თორემ ისრე არვის დაანებებდა ცულს...

რადგანაც ტყის მცველი ძალდაძალ ვერ შეუვიდა თედოს, ანება თავი,—გადგა განზე, გადმოიღო თოფი და ესროლა ჯერ კიდევ გაფითრებულს, შიშით მოცულ, ხეებს ამოფარებულ თედოს...

ტყის მცველის აკანკალებულ ხელებით ნასროლმა თოფმა ტყვია ვერ უწია დანიშნულ იდგილას და როდესაც ის მეორედ ამზადებდა თოფს გასასროლად, გადმოხტა თედო, გამოჰგლიჯა თოფი და გადისროლა ახალ დაჭრილ ხეებზედ.

იელვა ტყის მცველის ხანჯალმა, მაგრამ წუთს თედომ უაზროთ მოიქნია ცული და გამეტებით მოარტყა თავში თავის მოწინაალმდეგეს...

IV

რა საღამოსაც თედო სახლში უნდა დაბრუნებულიყო ტყიდან, იმ ღამეს იმის ცოლს არა სძინებია. შუა-ღამისას რამდენჯერმე გავიდა სოფლის ბოლოს „იქნება ხმაურობა გავიგონო სადმეო“, მაგრამ ლოდინი ტყუილი იყო—თედო არსად სჩანდა.

—ი ვერანა ხარი თუ სადმე დაუვარდა გზაში, იფიქრა იმან, და გადასწყვიტა გათენებამდე ელოდნა.

ცა მტრედისფრად იმოსებოდა, როდესაც თედოს ცოლი მივიდა თავის გაყრილ მაზლებთან და უთხრა: „წუხელის კაცი არ გამოჩნდა, აბა შეათვალიერეთ სადმეო“.

არ ესიამოვნათ თედოს ძმებს რძლის ნალაპარაკევი:

—ტყე ზურგზე გვაკრავს და ღამე გარეთ რათ უნდა დარჩეს კაციო, სთქვა უფროსმა ძმამ და ტყისაკენ გასწია თედოს შესათვალიერებლათ.

ტყეში, სადაც საურმე გზა თავდებოდა, ბილიკი მოსახვევში თვალი შეასწრო ხარებს და ხის ძირში თავგაჩეხილ, სიმწარისაგან სახე შეშლილ მკვდარ ტყის მცველს...

თავ-ზარ დაცემულმა იბრუნა პირი სოფლისკენ და თვალით ნანახი მამასახლისს შეატყობინა...

V

ქრისტიშობის თვის ბნელი ღამე იყო. მთებით შემორკალებულ პატარა სოფელს ჩამოსწოლოდა ნისლი და საბნათ გადაჰფარებოდა მთელს მიდამოს. მისი სიცივე თამამათ დათარეშობდა და სოფელზედ მეფეთ გამოცხადებას აპირებდა... მჩქეფარე, ცელქი ღელახვის თამაშის ხმა ნანათ ევლინებოდა ტკბილ ძილში გახვეულ სოფელს.

ირგვლივ სრული სიმშვიდე სუფევდა. დროგამოშვებით განრისხებული ყინვა თუ დაარღვევდა მყუდროებას, რომელიც შეარხევდა ფოთლებ გაცვივნულ, ობლათ დარჩენილ ხეებს, და წუთს აახმაურებდა სოფლის მიდამოს...

ამ დროს სოფლის ბანიან სახლებზედ ჩუმათ მიიპარებოდა ტანისამოს-შემოფლეთილი კაცი; ის გადმოვიდა ღობეზედ, მივიდა ერთ სახლთან და ჩუმათ დაარახუნა კარები...

—ვინ არის? შემოესმა უცნობს ქალის ხმა.

—მე ვარ, გამიღე.

—ვინ შენ?

—თედო.—უთხრა აღელვებულმა და კარების გაღების მოლოდინში დაიწყო კანკალი.

თედოზე მწუხარებას ისე ემოქმედნა, რომ ხმაც კი შესცვლოდა, რისთვისაც სახლში სრულებით ვერ იცნეს.

ტყის მცველის უნებლიეთ მოკვლის შემდეგ უცხო მხარეს გადავარდნილი თედო საშინელ სატანჯველში ჩავარდა! სინანული კაცის მოკვლისა მოსვენებას არ აძლევდა და ყოველ წუთს წინ ედგა ის სურათი, რომელმაც აიძულა მიეტოვებინა თავისი საწყალი კერა. ცოლ-შვილის სიყვარული და მათი ნახვის სურვილი უორკეცებდა სატანჯველს და სულ იმის ნატვრაში იყო, რომ დაეხედნა ობლად დატოვებულ ოჯახისთვის.

და ეს ნატვრაც შეისრულა.

თედო სიყვარულით ჰკოცნიდა თავის მძინარე შვილებს, რომელნიც ერთმანეთზედ გადახვეულნი ერთ საბან ქვეშ ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ ასრე უდროოთ ვინ ეალერსებოდა და ვინ უკოცნიდა დაწითლებულ ლოყებს. .

ამ გატაცებულ ალერსის დროს თედოს ეზოდან შემოესმა ძაღლის გამუდმებული ყეფა.

ის წამოვარდა, გამოერკვა წუთიერ ბედნიერებისაგან და გაქანდა ეზოში გასავარდნელათ, მაგრამ კარების გაღებისთანავე მას წამოეტანა რამდენიმე ხელი დასაჭერათ; თედომ მოახერხა მტრის ხელებიდან გასხლტომა და გაქანდა ტყისაკენ, მაგრამ როდესაც ის თავის ღობეზედ შეხტა, პოლიციელებმა რამდენჯერმე ესროლეს თოფი.

—ვაიმე ცოლ-შვილო!—ძლივს წარმოსთქვა თედომ და რამდენიმე ტყვიით განგმირული დაეცა ძირს... მომაკვდავი შეეცადა წამოდგომას, მაგრამ უკანასკნელ წამოწევასთან ერთად გააკრკოლა და უსულოდ გაენართხა მიწას...

1914 წ.

**ეფემია მესხი**

# ჩემი მოგონებანი

ტფილისში ჩემი პირველად ორჯელ თუ სამჯერ სცენაზე გამოსვლის შემდეგ, რამოდენიმე წელიწადმა განვლო, რომ მე ქუთაისის სცენას არ მოვშორებივარ. პირველად იქვე დავიწყე თამაში უფრო დიდი, პასუხ-საგები როლებისა, სხვათა შორის, შევასრულე მარგარიტა გოტიე.

იმ დროს ჩემი ძმა კოტე ახლად ჩამოსული იყო საზღვარ-გარეთიდან. პარიზში მას ამ როლში ენახა სარა ბერნარი. ჩემმა ძმამ დათიკომ და კოტე ბაქრაძემ (კარგათ მცოდნემ ფრანგული ენისა) გადასთარგმნეს ეს პიესა და პირველად დაიდგა ქუთაისში ჩემ საბენეფისოთ.

იმავე წელს ტფილისის დრამატიულმა საზოგადოებამ მოგვიწვია ტფილისში მე და კოტე ამავე პიესის და კიდევ რამოდენიმე პიესის დასადგმელად.

შეჩვეული, მრავალი წლების განმავლობაში, ჩვენს პატარა, თითქმის ოჯახურ, გვარეულ დასს, მე, ცოტა არ იყოს, ვშიშობდი ტფილისის დიდ სცენაზე გამოსვლას, ჩემთვის უცხო დასში გარევას და უცხო საზოგადოების წინაშე თავის გამოჩენას, მაგრამ გავბედეთ და წამოვედით.

ჩამოსვლის მეორე დღიდანვე უნდა დაგვეწყო რეპეტიციები, და კოტემ წამიყვანა თეატრში (არწრუნისეულ შენობაში, შემდეგ ქართული თეატრი) თავი მოეყარათ ჩვენს მსახიობებს და ჩვენ გველოდებოდენ. შევატყვე ზოგი მათგანი პირფერობით მოგვესალმა გარდა ერთი ახალგაზრდა, ლამაზი ქალისა, გვარად არლანისა. ამ ქალს ჩემს დანახვაზე გულწრფელი სიცილი წასკდა და თავს ველარ იჭერდა ამ სიცილისაგან. კოტემ მას მოღუშული სახით გადაჰხედა, მაგრამ არა უთხრა რა. ამ გარემოებამ მე, ცოტა არ იყოს, შემაკრთო და თან გამაკვირვა. რა ნახა ჩემში სასაცილო ამ მხიარულმა მსახიობმა? თურმე, ნუ იტყვით, ჩემს მორთულობაზე წასკდომია სიცილი და ნ. გაბუნიას ქალს წასჩურჩულა ყურში: „ამ კიკიმორამ უნდა ითამაშოს მარგარიტას როლი? იმდენი ჩემი თავი მოგიკვდათ!“ . . .

მართალია, მე არლანის ქალსავით მდიდრულად არ ვიყავი მორთული, მაგრამ არც ისე ცუდათ, რომ სასაცილო ვყოფილიყავ.

შევედით სცენაზე. მაშინ ელექტრონი არ ენთო და აქა-იქ სცენა სანთლებით იყო განათებული. მოკარნახემ (გალუსტოვი იყო) დაიჭირა თავისი ალაგი და მას სანთელი დაუდგეს წინ. ის აყო რეპეტიცია უნდა დაწყებულიყო, როდესაც არლანის ქალმა გიჟივით ჩამოურბინა ყველა სანთლებს და სათითაოთ ჩააქრო. კოტე იმდენათ გააბრაზა ასეთმა უმსგავსო საქციელმა, რომ თავშეუმაგრებლად დაუყვირა და რამოდენიმე უკადრისი სიტყვაც კი ჰკადრა.

მაშინ კი ვიფიქრე: ნეტავი აქ არ მოვსულიყავი, შევრცხვები და სხვა არა გამოვა რა მეთქი.

მეორე რეპეტიციის დროს ამ არლანის ქალმა ვეღარ მოითმინა და, თუმცა მასთან გაცნობილი არ ვიყავი, მოვიდა ჩემთან და შემნიშნა:

— ეს ქუდი თქვენ არ გიხდებათ, სხვა ქუდი დაიხურეთ.

— მე სხვა ქუდი არა მაქვს,—ვუპასუხე მე.

— ვა, პირველ როლებს თამაშობთ და ერთ ლამაზ ქუდს ვერ იყიდით, თქვე დალოცვილო?

— პირველ როლებს კი ვთამაშობ, მაგრამ ჯამაგირი ისე მცირე მეძლევა, რომ სასცენო ტანისამოსისათვისაც არა მყოფნის-მეთქი.

— და საზოგადოთ, როგორი აქტრისა ხართ, რომ ჩაცმა არა გცოდნიათ გემოიანათ?

როდესაც სცენაზე გასასვლელათ ჩაცმული ვიყავი, იგივე არლანის ქალი შემოვიდა ჩემს საპირფარეშო ოთახში და დამინახა თუ არა, განცვიფრებულმა შემომიყვირა:

— აი, სად გცოდნია შენ კარგი ჩაცმა! მაგრამ სცენის გარეთაც უნდა კარგათ ჩაიცვა ხოლმე.

— მე თითონ ვიცი სად როგორ უნდა ჩავიცვა, თქვენგან ჩემი ჭკუის სწავლება საჭირო არარის!—მივაძახე მე გულმოსულმა. ის უცბად გატრიალდა და მიხურა ჩემი ოთახის კარები.

წარმოდგენა გათავდა და მე დაღლილი შევედი ოთახში. ვერ მოვასწარი სკამზე დაჯდომა, რომ არლანის ქალი გიჟივით შემოვარდა, გადამეხვია და დამიწყო კოცნა.

— მე ვერც კი წარმომედგინა, თუ შენ ასეთი მსახიობი იყავი! რამდენი მატირე! რა კარგათ ითამაშე! მე შენ გაღმერთებ და სხვა.

ძლივს თავი დავაღწიე იმის ალერსს.

ეს ასე მეუბნებოდა, ბევრჯელ გამიწვიეს სცენაზე; ბევრი ვაშა მესმოდა, მაგრამ მე თითონ არ ვიყავი კმაყოფილი ჩემი თამაშის. ვგრძნობდი, რომ უფრო კარგათ შემეძლო თამაში და რაღაც მიშლიდა ხელს. . . .

ნეტა ვიცოდე სად არის ეხლა ის არლანის ქალი? ცოცხალია თუ არა? ლამაზი იყო, მხიარული, ბევრი თაყვანისმცემლები ჰყვანდა და მით ყოყოჩობდა. მგონია უფრო სურათად ჰყვანდათ დასში. სასცენო ნიჭისა კი მას არა ეცხო რა.

(გაგრძელება შემდეგ)

# ჩვენი მოღვაწენი



ალექსი მირიანაშვილი

მიმდინარე 1925 წ. აპრილის 24 საღამოს ტფილისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი და მწერალი ალექსი მირიანაშვილი, რომელიც დაკრძალულ იქნა დიდუბის პანთეონში იმავე თვის 27. დაკრძალვას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. სიტყვები წარმოსთქვეს მასწავ. ივ. რატიშვილმა მღ. იოს. მირიანაშვილმა და იოსებ იმედაშვილმა (პირველი). აქ ვათავსებთ ალ. მირიანაშვილის მოკრძალებით დაწერილ ავტობიოგრაფიას. მკითხველი აქედანაც ნათლად დაინახავს, რა ნაამაგდარი მუშაკი გამოგვეცალა ხელიდან. ეს ავტობიოგრაფია იბეჭდება სრულიად უცვლელად.

**რედ.**

## ჩემი ავტობიოგრაფია

დიდად პატივცემულო ბ-ნო იოსებ! მეტად მეჩოთირება ჩემი ავტობიოგრაფის წერა: რისთვის და ვისთვის? მაგრამ მაინც ვასრულებ თქვენს თხოვნას და მოკლედ მოგიყვებით ჩემს ვინაობას და თავ-გადასავალს.

მე დავიბადე სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგაში 1860 წელს გლეხის ოჯახში. მამა ჩემი, ივანე, რომელიც გარდაიცვალა 75 წლისა 1910 წ. იყო ძველებურ სოფლის სკოლაში ნასწავლი, იცოდა ხუცურისა და მხედრულისა კარგი კითხვა და ლამაზი წერა. იყო დიდი შრომის-მოყვარე, მიმდევარი და მცოდნე ყოველგვარ სოფლურ საქმისა და მეურნეობისა. ამასთან მრისხანე, სასტიკი და ბრაზიანი ხასიათი ჰქონდა. იმის ლექსიკონში საალერსო სიტყვებს სრულიად ადგილი არ ჰქონდა. ალერსს ვინა ჩივის, იმის ბაგეთაგან ჩემს ყურებს სიტყვა „შვილო“ არას დროს არ გაუგია. იმისმა ბრძანებითმა და მკაცრმა კილომ ჩემს არსებას ღრმა დაღი დააჩნია,—ისეთი დაღი, რომელიც დღესაც საკმაოდ სჩრდილავს ჩემს სულებრივ თვისებებს და მაბრკოლებს და წინ მეღობება ათასგვარ საქმეში. მთელ ჩემ ბალღობაში იმის წინაშე ხმის ამოღების ნება არ მქონებია; ასე წარმოიდგინეთ, ბავშური თამაშობაც-კი აკრძალული მქონდა. იმის რწმენით შვილი უნდა იყოს მშობლის უსაზღვრო მორჩილი, ყურმოჭრილი ყმა. „ჩუმად!“ „დიდებთან ლაპარაკს როგორ ჰბედავ!“— აი ის ბრძანება, რომელიც ჩემს ყურებში მუდამ დღე გაისმოდა. რასაკვირველია, აღზრდის ასეთმა პრინციპებმა თავისი ჯეროვანი ნაყოფი გამოიღეს—ნაყოფი დამახინჯებული, მწარე, უგემური. სამაგიეროდ, დედა, რომელიც დღესაც, როცა ეს სტრიქონები იწერება, ცოცხალი მყავს, მეტად ღვთისნიერი, ლმობიერი და მოსიყვარულე მყავდა, ჩემს ნორჩ, მგრძნობიარე გულში მამისაგან ანთებულს ცხარე კოცონს მუდამ დედის ტკბილი ალერსი ანელებდა, აგრილებდა. ალბად ეს არის მიზეზი, რომ მიუხედავად ჩემის ხნისა, დღესაც დედისადმი ნამდვილი ბავშურის გრძნობითა ვარ გამსჭვალული და მისი სახე ჩემთვის თვით ღვთაების გამომსახველი და მაჩვენებელია.

მამას თავის მკაცრ თვისებებთან დადებითი მხარეც ბევრი ჰქონდა: უზომოდ აფასებდა სწავლას, რაც იმ დროინდელ სოფლელ გლეხისათვის, საკვირველი იყო და, როგორც თვითონვე არა ერთხელ უთქვამს, უცოლობაშივე ჰქონია გადაწყვეტილი შვილების სკოლებში მიბარება და მათი აღზრდა.

ასეც მოხდა: 6—7 წლისა მიმაბარა სოფ. ვაქირის სკოლაში, სადაც მასწავლებლობდა იქაური მღვდელ-ბლაღოჩინი ხატიაშვილი, რომელსაც სკოლა მთლად ღვთის ანაბრობაზედ ჰქონდა მიტოვებული. ბავშვები მოვიდოდნენ დილით ადრე და მხოლოდ მზის ჩასვლისას სტოვებდნენ სკოლას. მასწავლებლის როლს ამ ხნის განმავლობაში თამაშობდნენ უფროსი და მკლავ-ღონიერი მოწაფენი, რომელთაც უზნეო გავლენა მცირე-წლოვან ამხანაგებზედ კალამით არ აიწერება. ამ სკოლაში ყველაფერ საძაგლობას ჰქონდა ადგილი; არ იყო მხოლოდ წიგნის სწავლა. ბლაღოჩინ ხატიაშვილის თვალს მოვკრავდით მხოლოდ თვეში ერთხელ ორიოდე წამით, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი სკოლის მოწაფეთათვის, რომელთა რიცხვი 50—60 აღემატებოდა, ებრძანებინა მინდორ-ვენახებში წასვლა და იმის სადილისათვის სატაცურის მოკრეფა, ან კალო-საბძელში მუშაობა, ან მისი ეზოს გადასწორება, ან მატყლის წეწვა, ან ქათმის ბუმბულის რჩევა და სხვა ამგვარივე.

ამ სკოლაში მამამ დამტოვა მხოლოდ ორი წელიწადი. ამას შემდეგ მიმიყვანა ქ. სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში, რომლის პირობები გაცილებით უკეთესი იყო; მხოლოდ სწავლა, ეხლანდელთან შედარებით, ძალიან დახავსებულ მეთოდებით სწარმოებდა. აქედანაც ორიოდე წლის შემდეგ წამიყვანა ს. საცხენისის (თელავის მაზ.) სკოლაში, საცა მხოლოდ რამოდენიმე თვე დავყავ. შემდეგ გადამიყვანა თელავში. აქ ერთ მღვდელს უნდა მოვემზადებინე აქაურ სასულიერო სასწავლებელში შესასვლელად ყველა ეს ჩემი გადასვლა-გადმოსვლა იმით აიხსნება, რომ მამაჩემმა, როგორც გამოუცდელმა გლეხმა კაცმა, არ იცოდა, სად უფრო უკეთესი იყო, რომ მივეყვანე; ის სულ იმის ცდაში იყო, რომ „დიდ“ სკოლაში მივებარებინე, საცა „კაი“ სწავლა იქნებოდა; მაგრამ სად იყო და რომელი იყო ასეთი დიდი სკოლა კაი სწავლით, ის-კი აღარ იცოდა. ამიტომ ვინც შემთხვევით სად ურჩევდა, მეც იქითკენ მიმარბენინებდა.

ბოლოს, 1873 წ. ერთ შორეულ ახალგაზრდა ნათესავის რჩევით, რომელიც თვითონაც ჯერ ისევ მოსწავლე იყო, მამამ ჩამომიყვანა თბილისში და მიმაბარა სამოქალაქო სასწავლებელში (ახლანდელი უმაღლესი პირველდაწყებითი სკოლა), რომელიც თბილისის ალექსანდრეს

სამასწავლებლო ინსტიტუს ეკუთვნოდა. ეს სასწავლებელი დავამთავრე 1877 წ. და ამავე წელს შევედი თვით სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც სახელმწიფო ხარჯზედ ვიქმენ მიღებული და ვცხოვრობდი პანსიონში. ინსტიტუტის კურსი დავამთავრე ოთხი წლის შემდეგ, 1881 წელს სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდებით. ხოლო 1914 წ., უკვე ხანში შესულმა, გამოცდის ჩაბარებით შევიძინე საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის ხარისხი.

ინსტიტუტში ჯერ სრულად არ მქონდა უკანასკნელი ეგზამენები ჩაბარებული, რომ 1881 წლის გაზაფხულზედვე თავისთან დამიბარა მაშინდელმა სათავად-აზნაურო სკოლის (ახლანდელი ქართული გიმნაზია) ინსპექტორმა, ცნობილმა ქართველმა ბელეტრისტმა ნიკო ლომოურმა და წინადადება მომცა სკოლაში მასწავლებლად შევსულიყავ. მე აღტაცებით მივიღე ეს წინადადება, მხოლოდ ვაცნობე, რომ მე, როგორც სახელმწიფო ხარჯზედ აღზრდილი, ვალდებული ვიყავ უეჭველად სახელმწიფო სამსახურშივე შევსულიყავ და რომ სათავად-აზნაურო სკოლაში შესასვლელად უეჭველად საჭირო იყო ჩემი განთავისუფლება ამ სავალდებულო სამსახურისაგან საოლქო მზრუნველის წინაშე სათანადო შუამდგომლობის აღძვრით. ნიკო ლომოურმა სკოლის მაშინდელ გამგეობის წევრთა—იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის დახმარებით მზრუნველთან საქმე მომიწყვეს და მე შევედი სკოლაში მასწავლებლად. ამ სკოლაში ყოფნა ნიკო ლომოურის წყალობით, შეიქმნა მთელი ჩემი სიცოცხლის უტკბეს ხანად.

სათავად-აზნაურო სკოლაში დავყავ მხოლოდ ორი წელიწადი. მას შემდეგ 1883 წ., გადაველი თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში მასთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად და აქედან 17 წლის შემდეგ, 1900 წელს, თბილისის პირველ კომერციულ სასწავლებლის დაარსების დღითგან მიწვეულ სიქმენ ამ სასწავლებლის აღმზრდელ-მასწავლებლად, რაცაც დღეს თავი დავაღწიე საშინელ ავადმყოფობის გამო.

ქართულ ლიტერატურისადმი და, საზოგადოდ, ქართულ ენისადმი სიყვარული აღმეძრა საკმაოდ ადრე შეგირდობაშივე, როდესაც ჯერ ისევ სამოქალაქო სასწავლებელში ვსწავლობდი, ინსტიტუტის უფროსი კლასის ქართველ მოწაფეთა გავლენით. ამ მოწაფეთა შორის ბევრი იყო კაი მიმართულებისა და სამშობლო ერის სიყვარულით გამსჭვალული. იგინი სცხოვრობდნენ პანსიონში. მაშინ თითქმის ყველგან სასწავლებელში ქართული წიგნების და ნამეტნავად გაზეთების კითხვისთვის მოწაფეთ სასტიკად სდევნიდენ. იმ ხანებში გამოდიოდა მხოლოდ ერთად-ერთი ქართული ყოველდღიური გაზეთი „დროება“ სერგეი მესხის რედაქტორობით. ამ გაზეთს იწერდნენ ინსტიტუტის ქართველი პანსიონერები (მათ შორის იყო კარგად ცნობილი მოღვაწე ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილი და ინგილო აბელ ბაირამაშვილი,—(აწ გარდაცვალებულები). რადგანაც გაზეთის დამტარებელს არ შეეძლო პანსიონში თავისუფლად შამოეტანა ქართული გაზეთი, ამიტომ მოწაფეებმა ამისთანა ხერხს მიმართეს: როგორც სასწავლებელში გარედ მოსიარულეს, მე იმათთაგან დავალებული მქონდა ნასადილევს ბინიდან წავსულიყავ თვით „დროების“ რედაქციაში, გამომერთმია გაზეთის ნომერი და მეორე დღეს, სასწავლებელში მოსვლის დროს, გადამეცა მათთვის. ამრიგად გაზეთი მთელი საღამო ჩემ ხელში რჩებოდა. თუმცა წაკითხულისა მაშინ ნახევარიც არ მესმოდა, მაგრამ მაინც მეხალისებოდა კითხვა და იმ პატარა გაზეთში (ეხლანდელი ფორმატის ნასამედი თუ იქნებოდა), უკანასკნელი განცხადებაც-კი არ გადამრჩებოდა წაუკითხველი.

ეხლანდელ ქართულ გაზეთის რედაქციაში რომ შედიხარ, შიგ 10—15 კაცს ჰხედავ თანამშრომლის ანუ სხვარამ მოსაქმის სახელ-წოდებით; მაშინ რედაქციაში ნეტარხსენებულის სერგეი მესხის მეტს სხვას იშვიათად მოჰკრავდით თვალს.

„დროების“ გარდა ჩემს ეროვნულ თვით-ცნობიერების გაღვიძებაში არა-უკანასკნელი ადგილი უკავია იმ ქართულ ენის უბადრუკ გაკვეთილებს სამოქალაქო სასწავლებელში, რომელნიც სწარმოებდნენ ინსტიტუტისავე უფროს მოწაფეთა ხელმძღვანელობით და მეცადინეობით განსაკუთრებით-კი ინგილო აბელ ბაირამაშვილის მეთაურობით. „უბადრუკს“ ვუწოდებ იმიტომ, რომ ქართულ ენას თუმცა იგი ხელმწიფის ნაცვლის-მიერ დამტკიცებულ სასწავლებლის პროგრამაში შედიოდა როგორც სწავლების საგანი, მაგრამ ჯამაგირიანი მასწავლებელი მაინც არ ჰყავდა და სრულიად უპატრონოდ იყო დატოვებული. კვირაში ერთხელ ან თვეში ერთხელ (ისიც მუდამ წელიწადს არა) ქართულ ენას გვასწავლიდა ინსტიტუტის უფროსი კლასის რომელიმე მოწაფე, ისიც თავის საკუთარ ინიციატივით, სურვილით და გემოვნებით, რადგან მას მბრძანებელი, ხელმძღვანელი, მრჩეველი და მეთვალყურე არავინა ჰყავდა: ინსტიტუტის მთავრობისათვის ქართული ენა არ არსებობდა. აი, სწორედ ამ გაკვეთილებზედ პირველად მოესმა ჩემ ყურებს ჩვენი უკვდავი ბარათაშვილის „მერანი“ და „ბედი ქართლისა“ და დიდებულ ილიას „კაცია-ადამიანი“. დასახელებულ ნაწარმოებთა განმარტებისა-კი რა მოგახსენოთ და წაკითხვით-კი ჩინებულად, მეტის გრძნობით გვიკითხავდა აბელ ბაირამიშვილი, რითაც ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩემს ჯერ ისევ ნორჩ გულზე. თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ სწორედ ამ ჩვენი ლიტერატურის მარგალიტების მხატვრულმა კითხვამ შემაყვარა საბოლოვოდ ქართული წიგნი და, ვგონებ, ყველაფერი ეროვნული.

(დასასრული იქნება)

ს. ხივიშვილი-ჯინჭველაშვილი.

# სცენის მოყვარეთა წრეები

## განმათავისუფლებელ მოძრაობაში და მათი როლი

1906—07 წწ. სასტიკმა რეაქციამ გაანადგურა ს. დ. მუშათა ორგანიზაციები. პარტია მოექცა ჰერ ქვეშ და არალეგალურ მუშაობასთან ერთად შეუდგა კულტურულ ფრონტზე მუშაობას. სახალხო წარმოდგენები, სახ. უნივერსიტეტი, ლექციები, მომხმარებელი საზოგადოებები, საკრედიტო ამხანაგობა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები—აი უმთავრესი სამოქმედო ასპარეზი აქტიურ პარტიული მუშაკებისა სოფლათ და ქალაქათ. რადგან ცენტრალურ ორგანიზაციებს საშუალება არ ჰქონდათ არალეგალურ მუშაობის საწარმოებლათ, ამიტომ ადგილობრივი მომუშა-

ვენი ლექციების და სახალხო წარმოდგენების საშუალებით აგროვებდენ თანხას და ისე აწარმოებდენ პარტიულ მუშაობას თავიანთ უბნებში.

ქუთაისის ახლო მდებარე მუხიანის (ვაკის) რაიონის ს. დ. ორგანიზაცია 1908 წლიდან შეუდგა კულტურულ მუშაობას: 7 დეკემბერს მოაწყო აკაკის იუბილე და დაარსა მის სახელობის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო; 1909 წლიდან დაარსდა სცენის მოყვარეთა წრეები როგორც მუხიანში (ცენტრში), ისე საყულიასა, ოფშქვითსა, ფარცხანაყანევსა დ ბაში. წარმოდგენები იმართებოდ ეზოებსა და კერძო სახლებში. გაერთიანებულმა წრეებმა პირველი წარმოდგენა დადგეს მუხიანში 1909 წ. 11 ივლისს დ. კობახიძის რეჟისორობით. შემდეგ ხელმძღვანელათ მუხიანის რაიონული ს. დ. ორგანიზაციის მიერ მოწვეულ იქნა სამტრედიიდან ახალგაზრდა ნიჭიერი სცენის მოყვარე სილოვან სულაქველიძე (საჭილაოელი). ორგანიზაცია დროგამოშვებით ქუთაისიდანაც იწვევდა მსახიობთ: გრიგოლ ჩარკვიანს, ვ. ტყეშელაშვილს, მ. სანიკიძეს, საშა გუგუშვილს და ალ. ჯაყელს წრეების სახელმძღვანელოთ. მუხიანში გაერთიანებულ სცენის მოყვარეთა წრეში იყვენ: სილ. სულაქველიძე, ბიჭიკო დუნდუა (რკინის გზის მუშა), ფედოსი რუხაძე (ქუთაისიდან), სერ. დუნდუა, ქეთო და ვოლინკა ჯინჭველაშვილები, ფხაკაძე, ფ. ფხაკაძე, კ. პიპინაშვილი, გრ. შათირაშვილი, ს. ჯინჭველაშვილი, სევ. იმნაძე, ს. ინაკავა, სან. ფხაკაძე და ერ. ინორიძე. ამ გაერთიანებულ წრეს ოფშქვითში ეხმარებოდენ იოსებ გერსამია, ერმილე კეპულაძე, კოწია ძოძუაშვილი და პარმენ გერსამია, საყულიაში მოწაფეები შ. ჯინჭველიშვილი, აკაკი არშიძე, თეოფ. სვანაძე, ნინო დიდიძე დ ოლია ჯინჭველაშვილი-დევიძისა. ზემოხსენებული პირები დაუზარებლათ ეხმარებოდენ ყოველთვის მომუშავე ამხანაგებს და მით ხელს უწყობდენ რაიონში კულტურულ დაწესებულებათა დაარსება-აღორძინებას და არალეგალურ მუშაობასაც. დღეს იმ მოღვაწეთა უმეტესი ნაწილი წასულ-წამოსულია სხვადასხვა ქალაქებში, ბევრი ბუნების ულმობელი კანონის მსხვერპლი შეიქნა, მარა მათმა მოღვაწეობამ ისე შეაყვარა გლეხობას წარმოდგენები, რომ დღეს ყველას სულიერ მოთხოვნილებათ აქვს გადაქცეული მათზე დასწრება და თუ ხელმძღვანელი ეყოლებათ, ისინი ყოველის მხრით ხელს შეუწყობენ მას, როგორც სათეატრო შენობის აგებაში, ისე მის დღევანდელი მოთხოვნილებისა-და მიხედვით მოწყობაში.

# ჩვენი სახალხო მუსიკოს-მომღერალი



სანდრო კავსაძე.

ქართული კულტურის აღორძინებისათვის წარსულში ქართული მუსიკა და ქართველი სახალხო მომღერალი ერთ-ერთი საგანგებო წყარო იყო. ამ საქმის მეთაურთა რგოლში სანდრო კავსაძეს საპატიო ადგილი უჭირავს, რომელიც 20—25 წ. წინად მშობელ ერს საუცხოვო ხმით ულვიძებდა რწმენას სანეტარო განთიადისას ს. კავსაძე ცნობილია, როგორც სახალხო მომღერალი, ლოტბარი და მასწავლებელი: ავტორია მრავალი სიმღერების, რომელთაც დღეს ქართველი მშრომელი ახალგაზრდობა ქირში თუ ლხინში, სცენაზე თუ ცხოვრებაში მღერის.

როგორც მასწავლებელმა აღზარდა მრავალი ნიჭიერი მომღერალი: მის შკოლიდან გამოვიდა, სხ. შორის, ვ. სარაჯიშვილი. მის კალამს ეკუთვნის ,,ურმული'', ,,მთაო გადმიშვი'', ,,ზამთარი-''ო და სხ.

ს. კავსაძე 30 წელზე მეტია რაც ქართულ მუსიკას ემსახურება და ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთითაც არ მიუტოვებია თავისი მოწოდების გზა.

იმდენად ნაყოფიერია მისი ღვაწლი, რომ უსათუოდ საჭიროა შესაფერისად აღინიშნოს.

მისი ყოფილი მოწაფეები ვუსურვებთ დღეგრძელობას და შემოქმედების მეტ ნაყოფიერებას.

**შ. ნათათრი**

# ყურმოკრული

ს. ერ—ვი ქუთაისში ერთ ნადიმზე იყო მოამფსონე მონადიმეთა შორის. აქვე იყო ვინემ ქ-ძე, მუქთახორობით ცნობილი, რომელიც მუდამ სხვისით იკვებებოდა. სწორედ ამ დროს ვილაცამ წამოიძახა: გერმანელები შემოსვლას აპირებენო. ქ-ძემ ბუზღუნი დაიწყო:

—ეჰ,მეტის მეტადცუდია, თუნემენცები შემოვიდნენო.

—ვიცი, შენ არ მოგეწონება ბიძია, რადგან ნემენცებს „ნემეცკი სჩოტი" უყვართ და შენ კი არასოდეს ფსონი არ გადაგიხდიაო,—მიუგო ს. ე—მა.

* * *

ერთხანად ქუთათური სტუდენტობა ქუთაისის ბულვარს იკლებდა. გაბეზრებული მოქალაქენი ბუზღუნებდენ:

— ნეტ რა ეშველება ამ თავახსნილ ხალხსაო?

—თუ გინდათ, აღარც ერთი სტუდენტი არ შემოვიდეს ამ ბულვარში, აქ აგური და ქვა მოიტანეთ და სთქვით უნივერსტეტი უნდა დავაარსოთქო, მიუგო იქვე მდგომმა ს. ე—მა.

* * *

საბრალმდებლო სკამზე მჯდომს ბრძენს ჰკითხეს:

—შენ მედიცინა მინავალია, ადამიანის სხეული გაგიჭრია, თავ ის ქალაც გაგიხსნია—შიგ სული გინახავს?!

—დიაღ, მე მედიცინა მისწავალია, ადამიანის სხეული გამიჭრია, თავის ქალაც გიმიხსნია, მაგრამ შიგ **ჭკუა** არ მინახავს! იყო პასუხი.

# აკაკი

აქ ჯერ არვის უმღერია აკაკურად
და სიცილიც მისთანა არვის იცის.
მისი ლექსი მოოაკრაკებს ხაკადულად
და შიგ კეკვენ სახეები, ცის და მიწის.

მისი სული სარკე არის ამსახველი.
ყველა წყლული ხალხის გულის შიგ ჩანს ხთლად.
და ვისაც სურს—გახდეს ერის სასახელო,
ჯერ მასავით უნდა დადხეს წმინდა სახთლად.

ვ. რუხაძე.

## გიტოვებ მხოლოდ დასისხლულ თვალებს...

შენ გაიელვე როგორც მკვლელობა
და ჩემი გული—შავი ბუხარი,
გადმოანგრაე ცივ პირფერობით
როგორც სერობის სიტყვა მქუხარე.

* *
*

ხარ სასაფლაო და იზეიმე,
რომ ერთხელ კიდევ უფრო მომკალი.
ყვირის ტფილისი—„ირასი ეიჰნემ“,
სადღაც ღამეში გიჟდება ქალი.

* *
*

ღამეებს მხოლოდ მისთვის ვაყვითლებ,
რომ გათენება შემოგალიო,
შემობურვილი შავი ყვავილით
მე გარდაცვლილი ვხვდები ალიონს.

* *
*

შენ ისევ წუთებს შხამით მიფატრავ
და ქარტეხილებს მასობ თვალებში,
ეხლაც ღიმილით მოვიდა ფატმა,
ვხვდები ღამეებს ცრემლით გალეშილს.

* *
*

მსურს საქართველოს მთები გავფერო
და ზეწარივით გადაგეფარო—
მსურს იალბუზი იყოს კათედრა;
გამოგეთხოვო უფრო სადაროთ.

* *
*

ეხლა ეგვიპტეს ცხელი კალთები
ჩვენ აცრემლებას თუ უმღერიან,
მაგრამ მგონია'ა ისევ ქალ-თევზა,
მაგრამ მგონ ხარ ისევ ფერია..

* *
*

დასისხლულ თვალებს მხოლოდ გიტოვებ
და ღამეებს იმ თეთრ ადგილებს,
სადაც მთელ ზაფხულს ერთად ვითოვეთ,
სადაც სიკვდილი გამიადვილე.

* *
*

მრჩება სიზმრებათ—გული ეტრატი
და იალბუზი—ცივი კათედრა,
ეხლა მარტო ვართ მე და ესტრადა...
მტოვებ! გახსოვდეს როგორ გათენდა.

* *
*

ღამეა სუფთა ვით პაპიროსი—
სისხლიან თვალებს მხოლოდ გიტოვებ..
გტოვებ! ხავსიან ცის ნაპირებზე.
გტოვებ! მიწამე და მომიტევე.

სილეთ-რეან

## ობოლი.... ობოლი....

**შემთხვევები**

3 მაისს, კარლ მარქსის ხიდიდან თავის დასახრჩობად, მტკვარში გადავარდა ......, რომელიც გადაარჩინა მეთევზემ......
„კომუნისტი“ №100

...სული ობოლი შეიკუმშა, შეითენთა, შეიზნიქა, გადიგრიხა და გადატყდა.

— ობოლი.. ობოლი..

...ლერწამივით ატყორცნილი, მედიდური, ამაყი ტანი შეირხა... აბარბაცდა.. აიშალა და მდინარის უფსკრულში ჩაიშხლართა..

...ოჰ, რა ძნელი, რა საშინელი ყოფილა სულით ობლობა!.. მარტოობა.. იმედის დაღუპვა.. რწმენის გაარარავება.. საბრალო!.. საბრალო ქალი..

მტკვრის უფსკრულში უსურვებია ელვარე სულის, ლადარი გულის გაციება..

მას არ სცოდნია, რომ უტეხი მდინარე მეტსაც იზამს... ჰაი, ჰაი, რომ მეტსაც იზამს!..

— სთქვი, ქალო, აბა რათ ენდე უკმეხ მდინარეს?!.

აბა რათ ენდე!! ნუ თუ შენში გაქრა ყოველივე?!.

— შენ ვერ შესძელ შებრძოლებოდი ცხოვრების მღელვარ ტალღებს?!

— დაიტანჯე, არა?!

— მოგწყინდა უკეთესი მერმისის ცდა?!.

მერე რა საშინელი რამ მოგიფიქრია...

ეს რომ შენ არ შეგშვენის?!.

ეს რომ შენ ამაყს სულს არ შეეფერება!?!

გატყდი ბრძოლაში?!.

— არც კი გრცხვენია, აგრე უდროვოდ დაჰყარე ფარ-ხმალი!..

ქალო, ნუ ირცხვენ პატიოსან სახელს. აბა რა დროს იმედისაგან განიარალებაა... აბა რა დროს ქედის მოხრაა?! არც კი გრცხვენიან!? აბა რა დროს უიმედობაა...

გაიხედე წინ.. შეიარაღდი ახალი სიმხნით, ახალი უტეხი ნებისყოფით და განაგრძე ბრძოლა... რათ დაივიწყე, რომ ხსნა ბრძოლაშია?!

მ.

# „მუშკოპი“-ს მე-2 კურის საცხ. ადგ. ქართ. სცენის მოყვ. სტუდია





ი. ხომერიკი (კულტკომისიის წევრი), ს. ჩიხრაძე, ი. ჩიხრაძე, ი. კობერიძე, (ადგილკომი), ს. კვირიკაშვილი, ბ. ქელბაქიანი, ვ. ნიკიფოროვისა (მოწვევით), შუაში—ნ. მირველოვი (სტუდიის ხელმძღვანელი), ს. გურული (სტუდიის დამაარსებელი), ს. ჩიხრაძე, მ. კობერიძე, ი. კალმახელიძე, ა. ტოგონიძე, თ. გურული, ი. ისაკაძე, პ. მეგრელიშვილი, ი. გორგიაშვილი, ნ. გორგიაშვილი. დ. მუსერიძე, ქ. კაციტაძე (კულტ. კომ. წევრი). კ. კალანდაძე, გ. ციხისელი.



ჯა. ჯორჯალიძე.

პ. რუხაძე.

1921 წ. „მუშკოოპი“-ს მუშების მიერ სპ. გურულისა და ნ. მირველოვის ხელმძღვანელობით დაარსდა ქართველ და სომეხ სცენის მოყვარეთა სტუდია, წერა-კითხვის არ-მცოდნე მუშებისათვის 1 და 2 საფეხურის სკოლა ქართულ-სომხურ ენაზე და სამკითხველო. ამხ. ს. გურულს და ნ. მირველოვს დიდი ამაგი მიუძღვით კულტურულ მუშაობაში: მათ დაიწყეს გაზეთების და წიგნაკების გამოწერა მუშებში გასავრცელებლად და სხ.

ამხ. ნიკომ, როგორც დრამატიული სტუდიის ხელმძღვანელმა, მოკლე ხანში მუშებს ჩაუნერგა ხელოვნების სიყვარული და პირველად დასდგა „არსენა ყაჩაღი“. მთავარ როლებში გამოვიდნენ ს. გურული (გარსევან ამაყაძე), ს. ჩიხრაძე (იორამი), ვ. კირვალიძე (არსენა), ი. კობერიძე (თედო), ს. კვირიკაშვილი (პეტრე), ვ. მერაბოვი (მოურავი), ნიკო მირველოვი (სირაჯი).

პიესამ კარგად ჩაიარა. დამსწრე მუშა-მოსამსახურეთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც თავიანთი ამხ. მუშები დაინახეს სცენაზე. ამის შემდეგ ამხ. ნიკომ დასდგა სხვადასხვა პიესა. მანვე დაარსა მუშა-მოსამსახურეთა ბავშვების სტუდია. ბავშვებმა მშობლები განცვიფრებაში მოიყვანეს თავისი ხელოვნური თამაშით. დღემდე ამხ. ნიკო მირველოვი მუშებს უსასყიდლოდ ემსახურება და პირნათლად ასრულებს თავის დაწყებულ კეთილ საქმეს.

**ქრისტო კაციტაძე.**

# ქალწულები

(ბათომში)

საგაზაფხულო ზღვის ფენები ადგება თრთოლით.
ვიცი ცრემლები დაეცემა ამ ცხელ ეთერზე;
ეს ქალაქია სიყვარულის და სილამაზის,
როდესაც მითი ლაპარაკობს კიდევ ღმერთებზე.—

.—. .—. .—.

ცის ბუფერებში აღმართული ლიბრედი მთები,
წყლების ჩხრიალი საბანაო მრავალ წყლულების,
აქ იყო ცეკვა, სიმფონია და სიხარული,
აქ იყო ჯანყი და სისხლისღვრა მთის ქალწულების.

.—. .—. .—.

ეს ქალაქია ძველ ზეიმის და ალავერდის,
აქ დიონისოც ქეიფობდა, ტკბილი ტევნებით,
ეს ქალაქია სამკურნალო თვით ქალწულების,
და აქ მუსიკა იშლებოდა ლურჯი მხევლებით.—

**მიშელ ასტრალი**

# დაბა-სოფლის ვითარება

## დ. ხიდისთავი

დ. ხიდისთავი მოზრდილი რაიონია. უწინ ეს რაიონი კულტურული ცენტრი იყო გურიაში. თუ საერთოდ გურული ხალხი ცნობილია მთელს საქართველოში, როგორც სწავლა-განათლების დიდი მიმდევარი და კულტურულად დაწინაურებული—გურიაში—ხიდისთავი ამ მხრივ თითქმის ყველა დაბებსა და სოფლებთან შედარებით წინ იდგა. განსაკუთრებით თეატრალური ხელოვნება იყო განვითარებული. ძალებიც ბლომად გაჩნდა, რომლებიც ერთ მჭიდრო ორგანიზაციაში გაერთიანებულნი, დაუღალავი მუშაობით აკმაყოფილებდენ საზოგადოების სულიერ მოთხოვნილებებს: კვირაში ორ-სამჯერ უმართავდენ წარმოდგენებს, საღამო-კონცერტებს, სალიტერატურო დილებს და სხვა შინაარსიან გასართობებს. დიდძალი მაყურებელი იყრიდა თავს.

წინეთ ღონიერი იყო ხიდისთავი, მრავლად მოიპოვებოდნენ განათლების ჭირისუფალნი და მუშაკები. ყოველგვარ კულტურულ საქმიანობას მასწავლებლობა უდგა სათავეში. ხიდისთავის წარსულ ცხოვრებაში მასწავლებლობა უმთავრეს როლს ასრულებდა, აქტიურ-მამოძრავებელ ძალას მასწავლებლობა წარმოადგენდა. საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო იყო გამართული, სადაც უხვად მოიპოვებოდა: პერიოდული გამოცემები, ახალი ლიტერატურა, როგორც პოლიტიკური ისე ესთეტიურ-მხატვრული ხასიათისა, მრავალი დროზე მოწოდებული ჟურნალ-გაზეთები. საზოგადოება დიდი თანაგრძნობებით ეპყრობოდა საერთო საქმეებს და თეატრისათვის პატარა საზაფხულო შენობის აგებაც კი შეიძლო. ხალხი ყოველი მხრიდან აწყდებოდა გაქალაქებულ ხიდისთავს, წარმოდგენების დროს თეატრი მუდამ გაჭედილი იყო დამსწრეებით.

სამკითხველოც დიდ დახმარებას უწევდა ცოდნის მოტრფიალე ხალხს და აუარებელ მკითხველს უყრიდა თავს. მოსახსენებელია ისიც, რომ შაბათ-კვირაზე საღამოობით იკრიბებოდნენ ბაზრის ახლოს გაშლილ ადგილს და ბჭობდენ საერთო, საზოგადო საქმეებს. ეს კრება კი არ იყო, არა—ისე ყველა თავისუფლად განაწილებული ნაცნობ-მეგობრებში მუსაიფობდა, ახალი ამბების გასაგებათ, საზოგადოებრივი აზრის შესაგნებათ გამოდიოდნენ. ასე რომ საზოგადოების წევრები დაახლოვებულნი იყვნენ—გზა ყოველ მხრივ შემაერთებელი ჰქონდათ: წარმოდგენა-საღამოებზე, სამკითხველოში, პატარა მოედანზე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხიდისთავში პირველ დაკვირვებაზედვე შენიშნავდი და პირდაპირ თვალში გეცემოდა ფაქტი კოლექტიური საქმიანობისა. მიჩვეოდნენ და უყვარდათ ხელიხელ ჩაკიდებული შრომა. სოციალური გრძნობები მეტად განვითარებული იყო ხალხში. და დღეს კი როდესაც ამას დაუყონებლივ საჭიროებს და სასტიკად მოითხოვს მუშურ-გლეხური ხელისუფლების ინტერესები—ეს სოლიდარობის შეთანხმება-შეკავშირების გრძნობა აღარ მოიძებნება ხიდისთავის საზოგადოებაში.

ყველა კარჩაკეტილი მარტო, თავის საკუთარ ოჯახში ბრუნავს, შრომობს მის გაჯანსაღებისათვის, გაზრდა-გამშვენიერებისათვის. კერძო, პირად ინტერესებთან შეგუებულია მათი შრომა-გარჯილობა. აკეთებენ ცალკ-ცალკე თავისი საკუთარი ზრახვების დასაკმაყოფილებლად მაშინ როდესაც შეერთებულ საქმიანობას უდიდესი ნაყოფიერების მოტანა შეუძლია. სახელდობრ ის ფრიადი მნიშვნელობა, რომელიც საზოგადოებრივ შემოქმედებას აქვს ამავე საზოგადოების წინსვლა-განვითარებისათვის. დღეს არც სამკითხველოა ხიდისთავში (ფაქტიურად არის ერთი ოთახი სამკითხველოს სახელით, სადაც საკითხავს ნაკლებათ იპოვნით უფრო ხშირად დაკეტილია), თეატრს დიდი ხანია დანატრულებულია ხიდისთავის საზოგადოება. არავითარი კულტურული დაწესებულება იქ არ არის, რომ ხალხმა ხიდისთავის ინტელიგენტმა, გლეხობამ და ახალგაზრდობამ თავი მოიყაროს და გაუზიაროს ერთმანეთს გულის ჭირი თუ ლხინი...

ეს იმ ხალხის, რომელიც ამგვარი საქმეების უსაზღვრო მოინტერესე სანთლით მაძებარი იყო. ასე გულჩათხრობილი, თავჩაქინდრული და დაავადმყოფებულია ხიდისთავის დიდი რაიონი. ეს მძიმე იარაა, რომელსაც მალამოს მოცხება, მორჩენა მოშუშება ესაჭიროება, რომ არ დაჩირქდეს და მთელი სხეული არ დააშაოს. აი ამ დაქსაქსულობის, დაშლილობის მოსპობა ჰმართებს ხიდისთავის რაიონის მმართველ ორგანიზაციებს, უწინარესად კულტურული საქმიანობა უნდა გააძლიეროს. უნდა ბევრი ილონოს ეცადოს—რათა: გაალვიძოს, გაანძრიოს აამუშაოს—აამოქმედოს ხალხი: მისცეს ასპარეზი, რომ გამოამჟღავნოს თვისი შეძლება-უნარიანობა: თავისუფალი თეატრი, წიგნთ-საცავში წიგნები, ჟურნალ-გაზეთები.

მარტო ერთიორი გაზეთი არ კმარა ისიც არა სისტემატიურად. მთელი კვირის ერთად მოდის. ზოგჯერ სულ არა.

საჭიროა და აუცილებელი დაუყოვნებლად მოგვარდეს ეს დიადი საქმე, რომ არ მოუკვდეთ ცოდნა გამოცდილების, შეგნება-განვითარების ის უზომო წყურვილი, რომელიც შემჩნეულია გურულ ხალხში—საკუთრივ ხიდისთავში. აღსანიშნავია ახალ ნორჩი ძალების დარაზმვა და მათი ენერგიული საქმიანობა კულტურის ფრონტზე. დიახაც, ახალგაზრდობა დიდის სიყვარულით ეკიდება საქმეს, თავგამოდებით ცდილობს, ხრუნავს—უნდა პატრონობა გაუწიოს, უპირისუფლოს კულტურას, მაგრამ მათი ნამოქმედარი წვეთია იმ ზღვაში, რომელშიაც ლაღათ დაკმაყოფილებით ცურვას მიჩვეულია ხიდისთავის უხვი-ლამაზი ბუნების წიაღში დაბადებული და გაზრდილი ხალხი მათ ჯერ ვერ შესძლეს საზოგადოების დაინტერესება. ეს სრულიად ნორჩი ახალ ფეხადგმული თაობა; მოუმწიფებელი და ცოდნა-გამოცდილებას მოკლებული. მათ არ შესწევთ კულტურის განვითარებისათვის აუცილებლად საჭირო ძალღონე ის მკვეთრი იარაღები, რომლებსაც გონების ჰორიზონტზე ფართო მიღწევანი ეწოდება. ასე რომ ეს მოზარდი თაობა ჯერ ჯეროვნით ვერ ძლებულობს დააკმაყოფილოს საზოგათოების აუცილებელი სულიერი მოთხოვნილებანი.

სამწუხარო და სავალალოა ისიც, რომ ინტელექტუალური ძალებითაც გაიძარცვა ხიდისთავი. განსაკუთრებით საგრძნობია სიღატაკე სცენიურ ხელოვნების დარგში. ძველი გამოცდილი მუშაკები აღარ მოიპოვებიან. წამხდარ საქმეს ადრე უნდა შველა. უშველის და გამოასწორებს ადგილობრივი მთავრობის შემარიგებელი პოლიტიკა. აი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა დამოკიდებულია არა მარტო ხიდისთავის მმართველი ორგანიზაციებიდან—მათთან მასწავლებლობის უშუალო დახმარებით. ე. ი. მასწავლებლობამ გააჩაღოს კულტურული საქმიანობა, განაახლოს თეატრი, მოაწესრიგოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმე, გაუღვიძოს ინტერესი უნარიან ხალხს და ჩააბას იგიც (საზოგადოების უდიდესი ნაწილი, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი, მაგრამ დროებით დაუფარავს—განზრახ თუ შეუმჩნევლად) კულტურული ქმედობის ფერხულში. ძველები აღარ არიან, მაგრამ ახლებმა მიჰბაძონ მათ „საქმეებს საგმიროს“ და ახალი გეგმით, შეგნება მიხვედრილობით გაუნათონ სავალი გზა, გადაახალისონ, გამოაფხიზლონ სალათას ძილს მიცემული ხიდისთავის საზოგადოება.

**ხიდისთაველი ქალი**

**სანდრო ჟანჩელი**

# ორი ქორწილი

კომ. 1 მოქ.

**მოქმედნი:**

**კეკელა**—ხანში შეს. ქვრივი.
**თამარა**—ამისი ქალი.
**სარდიონ**—ყოფილი თავადი.
**ბესო**—მისი მსახური.
**მოხელე ალმასკომისა.**

ოთახი კეკელას სახლში, ავლაბარში. ძველებურად კარგად მოწყობილი. თამარა ჰკერავს.

**კეკელა** (შემოდის) ჩქარა, ჩქარა, გოგოჯან, მოერთე ლამაზათ. მე კი აქ მივალაგ-მოვალაგებ.

**თამარა** რა ამბავია დედა? მოდის ვინმე?

**კეკელა** ჰო, გენაცვალე, „კნიაზი“ მოვა ეხლავე, მაგდანა რომ გველაპარაკებოდა. შენს სანახავათ მოვა და იქნება დაგნიშნოს კიდეც.

**თამარა** მერე როგორია? ვინ იცის, იქნება ბებერია, გონჯი!.

**კეკელა** რას მიედ-მოედები! მაგდანა ამბობს, ლამაზია, მდიდარი .. რა უყოთ, რომ ამ... (დაბლა ხმით) არამზადებმა ყველაფერი ჩამოართვეს... ისევ დაუბრუნდება... მერე კნეინობა ხომ გინდა. გათხოვების დრო მოგივიდა... კოპრატივის პრიკასჩიკს ხომ არ მისთხოვდები... საწყალი მამაშენი (ცრემლები მოსდის) სულ იმას იძახოდა „კნიაზს“ უნდა მივათხოვო... ჩქარა გენაცვალე... წადი, მოირთე, საცაა მოვა,.. (გაიყვანს მეორე ოთახში, დაბრუნდება, ალაგებს ოთახს, კაკუნი. გააღებს კარებს).

**ბესო** (შემოდის დიდი თაიგულით, სუფთად ჩაცმული, ყმაწვილი კაცი) „ტოვარისჩი“ ჩერვონცაძე აქა სდგას?

**კეკელა** (მძიმეთ თავს დაუკრავს) მობრძანდით „კნიაზო“, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

**ბესო** მე კნიაზი არა ვარ... კნიაზი...

**კეკელა** (შეაწყვეტინებს) აქ უცხო არავინ არ არის... კნიაზი კნიაზათ დარჩება... მობრძანდით, დაბრძანდით კნიაზო...

**ბესო** (გაკვირვებულია) მაგრამ თანდათან თავის ბატონის როლში შედის). ნუ სწუხდებით! (ჩუმად) მოდი ეს ხუმრობა გავაგრძელოთ. (კეკელას) რა მშვენიერი სახლი გქონიათ; შემოსავალი დიდი გაქვთ?

**კეკელა** ეხლანდელ დროისათვის არა უშავს რა... „სოვეცკები“ ცოტა მყავს და ამიტომ ქირები ბლომათ შემომდის სულ ჩემი თამრიკოსათვის მინდა, ვენაცვალე იმას...

**ბესო** მ მ მ... ეგ კარგია... თქვენი ქალი შინა ბრძანდება? ეს თაიგული მისთვის მოვიტანე.

**კეკელა** შინ გახლავთ! (უძახის) თამრიკო, თამრიკო! გამოდი შვილო, „კნიაზი“ მობრძანდა...

**ბესო** თუ ლამაზია—ძალიან კარგი, თუ ჯოჯოა, ისევ ჩემ ბატონს გადაულოცავ...

**თამ.** (გამოდის მორთული) რას მეძახი დედა? (დაინახავს ბესოს) აჰ!...

**ბესო** (ჩუმად) მშვენიერია! (თამარას) ნება მიბოძეთ, მოგართვათ ეს თაიგული. მეშინიან მხოლოდ ვარდები დასჭკნდებიან, თქვენ სილამაზეს რომ დაინახავენ.

**თამ.** ო ო ო... რა ტკბილი ენა გქონიათ, კნიაზო!.. (დასხდებიან. ბესო სულ კარებისაკენ იცქირება).

**კეკ.** უკაცრავად, მე ცოტა საქმე მაქვს... მალე გიახლებით... (ჩუმად თამარას) ეცადე საქმე გაათავო. (გავა).

**ბესო** (ფეხს ფეხზე გადაიდებს) რა საშინელი „სკუჩნობაა“ ქალაქში, არ იცის კაცმა სად წავიდეს, დრო გაატაროს. იმ დღეს ცირკში ვიყავი (დაავიწყდება თავისი როლი) და იქ. . ხა, ხა, ხა! ერთი ჯამბაზი ქალი თამაშობდა და ზედ... ხა, ხა, ხა, არაფერი არ ეცო, (მოვა გონს) მე ამისთანა სიამოვნება არ მომწონს... განათლებულ კაცს არ მოეწონება.. მე, მე... დუხოვნი ზემლემერნი უჩილისჩა გავათავე... სამსახურში არ შევედი... რად მინდა სამსახური, როცა შეძლება მაქვს... წინდები რა არის... ერთხელ რომ ჩავიცვამ, მეორე დღეს გადავაგდებ ხოლმე... სამსახური რას მომცემს..

**თამ.** განა პრაჩკა არა გყავთ?

**ბესო** ორი, მაგრამ მე იმათ სარეცხს არ ვარეცხინებ,—გააფუჭებენ. მე ძალიან სხვანაირი კაცი ვარ... არაფერი არ გამიკვირდება... (პაუზა) თქვენ სად სწავლობდით?

**თამ.** გოროდსკოიში. „უნივერსეთში“ დედამ არ გამიშო. რად გინდა შვილოვო, როცა ქონება გაქვს და დედის ერთა ხარო.

(შემოდის კეკელა, შემოაქვს ყავა, საუზმე და კონიაკი).

**კეკ.** უკაცრავად კნიაზო, მცირეზე, დანაყრდით.

(ბესო ამ სცენის განმავლობაში ხარბად სჭამს და ხშირად სვამს კონიაკს).

**ბესო** გმადლობთ, ეს არის ეხლა „ზაკუსკა“ გიახელით.

**კეკ.** მიირთვით, მიირთვით. თამრიკო უთავაზე კნიაზს. (გადის)

**ბესო** (სჭამს) რა მშვენიერი მუჟუჟია, უთუოდ შინაურია.

**თამ.** (არშიყობით) ჩემი გაკეთებულია... მოგწონთ?.

**ბესო** (სჭამს) მ მ მ... კარგია, კარგი... ესეც გემრიელია... რაღაც მაგონდება (შეხედავს კარებს) ნება მომეცით, გულახდილად ვილაპარაკო თქვენთან.

**თამ.** (არშიყობით) რაზე?

**ბესო** ჩემ ბედნიერებაზე, „ტოვარისჩ“... უკაცრავათ ქალბატონო.

**თამ.** თქვენი ბედნიერება მე არ შემეხება..

**ბესო** (კარებს უცქერის) პირიქით... მე მოთმინება აღარა მაქვს.., (დაიჩოქებს) გამაბედნიერეთ და იყავით ჩემი ცოლი... ჩემი ჯანი, თავი, სიცოცხლე... ჩამორთმეული მამულები... ყველაფერი თქვენი იქნება...

**თამ.** მე არ ვიცი... ასე ჩქარა...

**ბესო** დაგვიანება შეუძლებელია! ყოველ წუთს შეიძლება ისიც შემოვიდეს... (შეკრთება) ესე იგი... დედა თქვენი.

**თამ.** მერე რა არის? დედა ჩემი ბედნიერების წინააღმდეგი არ იქნება.

**ბესო** მაშ ჩქარა პასუხი! თორემ, თორემ... თავს მოვიკლავ.

**თამ.** აჰ, ნუ იზამთ მაგას... მე თანახმა ვარ... (გადაეხვევიან ერთმანეთს, ხმაურობა. ბესო შეშინებული თავს დაანებებს თამარას).

**თამ**. არაფერია! ეს ჩვენი მდგმური შევიდა თავის ოთახში...

**ბესო** წავიდეთ ჩემო კარგო ეხლავე „ზაქსში“... მეშინიან არ გადათქვათ ..

**კეკ**. (შემოდის) ხომ არ მოგეწყინათ?

**ბესო** დაგვლოცეთ, დედა...

**კეკ**. (გახარებული) უიმე გენაცვალე, თქვენ საქმე კიდეც გაგითავებიათ... (ხან ტირის და ხან იცინის) დაგლოცა მამა უფალმა, მოდით ჩემთან .. გაკოცოთ.

**ბესო** დედაჯან, ჩვენ ეხლავე ზაქსში მივდივართ, ჯვარი უნდა დავიწეროთ.

**კეკ**. არა, გენაცვალეთ, ჩვენ ქაშვეთის მრევლი ვართ, სხვა ეკლესიაში არ დავაწერინებ ჩემ ქალს ჯვარს...

**თამ**. Ах какая ты мама! „ზაქსი“ უპრავაშია, ეკლესიაში მერე წავალთ, ხვალ, ზეგ...

**კეკ**. მერე?!. მანამ საყდარში არ წახვალთ, მანამ მე არაფრის ნებას არ მოგცემთ, ზაქი კი არა კამეჩიც რომ მოიყვანოთ.

**თამ**. (ერთმანეთს უცინიან და მერე კეკელას) არა, არა! ნუ გეშინიან... როგორ შეიძლება... სიტყვას გაძლევთ.

**ბესო** (კარებს უცქერის თამარა, ჩქარა ჩაიცვით, (თამარა იცვამს. გარბიან და უყვირიან კეკელას) მალე დავბრუნდებით, ნუ გეშინიან...

**კეკ**. (გახარებული ალაგებს ოთახს და რაღაცა ლოცვებს ბუტბუტებს. ცოტა ხნის შემდეგ კაკუნი) ვინ არი?..

**ხმა** აქა ცხოვრობს ქალბატონი ჩერვონცაძე?

**კეკ**. (გააღებს კარებს) მობრძანდით. . რა გნებავთ?

**სარდიონი** (შემოდის მოხუცებული, ჩოხაში, შეღებილი ულვაშებით). გთხოვთ მიცნობდეთ, სარდიონ გახრეკელიძე! (დაბალი ხმით) თავადი.

**კეკ**. დიდად სასიამოვნოა... თქვენ უთუოდ მამა ბრძანდებით. რა მშვენიერი ვაჟიშვილი გყოლიათ... ძალიან გგავთ კიდეც...

**სარდ.** როგორ თუ მამა? ვინ ვაჟიშვილი? მე შვილები არა მყავს... მე უცოლო ვარ...

**კეკ**. უკაცრავათ... მაშ რა გნებავთ?

**სარდ.** მაგდანას თქვენთვის არაფერი არ უთქვამს?.. ჩემი მსახური აქ არ მოსულა თაიგულით თქვენი ქალისათვის.

**კეკ**. (თვალებს იფშვნეტავს) ღმერთო ჩემო... ეს რა ამბავია... სიზმარში ხომ არა ვარ?

**სარდ.** ყმაწვილი ბიჭი (ჩუმად) ნათხოვარ ტანისამოსში (მაღლა) ვარდების თაიგულით? (ჩუმად) ნისიად.

**კეკ**. (ძლივს ლაპარაკობს) იყო და თამარა წაიყვანა სადღაც ჯანდაბაში. . ჯვარის დასაწერად... მე ის თქვენ მეგონეთ.

**სარდ**. როგორ თუ მე? ჩემი ბიჭი გეგონათ თავადი სარდიონი?..

**კეკ**. (სტირის) ეხლა რაღა ვქნა... კიდე კარგი, რომ ეს სახლი იმ გომბიოს არ დაუმტკიცე... თორემ „ლაქია“ ჩემს სახლსაც წაიღებდა...

**სარდ**. მაშ... ეს სახლი პირადათ თქვენია?..

**კეკ**. ჩემია, გენაცვალე, ჩემი. „კუფჩაც“ აქა მაქვს... ეს რა მომივიდა ხალხნო!?... (სტირის).

**სარდ**. (სინჯავს ოთახის მოწყობილობას. მეორე ოთახის კარს შეაღებს. ნელ-ნელა მივა კეკელასთან) თქვენ შეგიძლიათ ძალიან კარგად დასაჯოთ თქვენი ულირსი ქალი... ეს ხომ მოტყუილებაა... თქვენისთანა ოჯახის შვილი გაჰყვა ლაქიას... დასაჯეთ თქვენი შვილი!..

**კეკ**. რა ნაირად? რა მოუხერხო? (სტირის).

**სარდ**. გეტყვით ეხლავე... მე შემირთეთ... (სიჩუმე) კნეინა გახდებით... თქვენი დოვლათი თქვენ დაგრჩებათ.. იქნება (ნაზი ხმით) შვილებიც გვეყოლოს... მამულს დამიბრუნებენ.. ასე ხომ არ იქნება ყოველთვის... ევროპა ჩვენსკენ არის. . თავადებისკენ... ზაფხულობით სოფელში წავალთ... თბილისთან ახლოა... ოხერა ჰქვიან... იქ ისე იცხოვრებთ როგორც დედოფალი... ძროხები, ღორები, მოსამსახურეები, ქათმები... არც მე და არც თქვენ ჯერ ბებრები არა ვართ...

**კეკ**. (ყურს უგდებს, თანდათან ცრემლებს იშრობს და ღიმილი მოსდის) მერე თამარა?..

**სარდ**. ეს დრო რომ გამოიცვლება, სულ მათრახით მოვათრევ იმ ჩემ ბესუას, გავყრი მათ და თქვენ ქალს მარშალს მივათხოვებ...

**კეკ**. დრო მალე გამოიცვლება?

**სარდ**. ბევრი, ბევრი ამ ამბავმა გასტანოს კიდევ თვე—ორი თვე... ანგლია და ფარცია ჩვენსკენ არის...

**კეკ**. რა ვიცი, რა ვიცი!..

**სარდ**. ტელეგრამაც მოვიდა, თავადებს ხელი არ ახლოთო, თორემაო „პრეპლანებს“ გამოვგზავნითო... ყოველ დღე ველი, რომ დავბრუნდე ჩემს ოხერაში... მაშინ ვაჩვენებ ჩემ გლეხებს სეირს; რა ამბავი იქნება...

**კეკ**. მერე თქვენ არ მიღალატებთ? (კეკლუცად).

**სარდ**. რასა ბრძანებთ, კნეინა, მე თქვენი მონა ვარ. (ჩუმად) ერთი სახლი ხელში ჩავიგდო, მერე ამ მაშხალას ვაჩვენებ გზას. (კეკელას) თანახმა ხარ ჩემო მშვენიერო?..

**კეკ**. თანახმა ვარ. (ჩაეკრება გულში) ოჰ, ჩემო კნიაზო!

**სარდ**. ოჰ, ყემო კნეინა!.. კუფჩა არ დამეკარგოს. მე შევინახავ... ეხლა კი უნდა „ზაქსში“ წავიდეთ, ჯვარი დავიწეროთ... (კაკუნით)

**კეკ**. ვინა ხართ? შემოდით.

**ალმასკომის მოხელე**. მოქალაქე ეკატერინე ჩერვონცაძე თქვენა ხართ?

**კეკ**. დიახ, მე გახლავარ.

**ალმას. მოხ.** გიცხადებთ, რომ ალმასკომის დადგენილებით თქვენ ჩამოგერთვათ ეს თქვენი სახლი. ერთი თვის განმავლობაში სახლი უნდა დაცალოთ, აქ კი უნდა გაიმართოს მეეზოვეთა კლუბი.

(კეკელას გული შეუწუხდება. სარდიონი დგას გაშტერებული. შემოდიან სიცილით ბესო და თამარი. შეჩერდებიან. მოხელე უხსნის თამარას დადგენილებას, თამარი დაეცემა მეორე სავარძელზე. სარდიონი და ბესო შეხედავენ ერთმანეთს და საჩქაროთ გავლენ, მოხელე დარჩება და არ იცის რა ქნას).

ფ ა რ დ ა.

იოსებ არიმათიელი

# „ჯაყოს ხიზნები“—ახალი თარიღი

მწერლობის გაცრიატებული ცა გაშუქდა: ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ჩვენს სიტყვა-კაზმულ სამწერლო აზროვნებას ნათელი ზოლი გაევლო.

ეს არის მიხ. ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“.

გადამეტებაში ნუ ჩამოგვერთმევა: ეს ფაქტია!

და ისეთი ფაქტი, რომელმაც ახალი თარიღი დაუსვა ჩვენს ახალ მწერლობას.

შეიქმნა **ახალი რომანი**, რომლის გვარი, ჩვენი რაობის ასე სინამდვილით და იგავარაკულად ამსახველი, არ გვეგულება.

თუ გსურთ თანადროულობა განიცადოთ, შეიგრძნოთ ჩვენის ცხოვრები სიგრძე-განი, თუ გსურთ თითოეულ აღწერილ გმირის სახით მხოლოდ მისი კერძო, საკუთარი ყოფა-ცხოვრება კი არ წარმოიდგინოთ, არამედ მთელი ჩვენი ერის ავკარგი, ვაება,—გადაფურცლეთ „ჯაყოს ხიზნები“, ჩაუკვირდით მისს დედააზრს...

ერთის შეხედვით შევზარავთ ისეთი უქნარობა, მოდუნება, რომელიც რომანის „გმირს“ თეიმურაზს გამოაჩნდება, და იტყვით: ქართველი ინტელიგენტი მაგისთანა დაჩიავებული არ არის,— თუ არის,—მაგის წინააღმდეგი გმირებიც მოგვევლინებაო, იქნებ მარგოც უარვყოთ: ქართველი ქალის სინამდვილეს უხვევსო,—ქართველი ქალი უფრო გამტანია და ამტანიო,- იტყვით...

მაგრამ ნუ თუ თეიმურაზი და მარგო იმ უცხო ნიადაგზე არ აღიზარდნენ, რომელმაც ჩვენი ერის ჩვეული გამტანობა მოადუნა?! და მეორეც: განა ავტორი დადებით მხარეს აღგვიწერს?!

არ შეიძლება იმისთანა დაკვირვებულ მწერალს, როგორიც მ. ჯავახიშვილია, თეიმურაზის და მარგოს წინააღმდეგი სახეებიც არ შეენიშნა.

ავტორი გვახედებს არა „გ მ ი რ თ ა“ სულის ვითარებაში, არამედ გარიყულთა ყოფა-ცხოვრებაში. ეს არის უუმახვილესი ნესტარი, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ-ეკონომიურ, საზოგადოებრივ-ფიზიოლოგიურ და ფსიქო-ფილოსოფიურ რაობის დიდის ხნის წყლულს მიზანში მოხვდა...

გადმოითხვარა ბაყლი, გამოჩნდა სენის მიზეზი, შეგვზარა, მაგრამ შვებითაც ამოვისუნთქეთ: რაკი სენს მივაგენით, განკურნებაც ადვილია...

რა მხრივაც უნდა მიუდგეთ, ავტორს მადლობის მეტს ვერას ეტყვით:

აზროვნება ნათელი და გარკვეული, ისტორიული თვალსაზრისი სწორი, თანადროულობის დაკვირვება ნამდვილზე ნამდვილი, აღსრულება—მაღალ-მხატვრული, ენა—მთის მწვერვალიდან მოკამკამე ანკარა წყარო, მზის სხივებით აგვირისტებული, სულიერ-ხორციელი შეგრძნება ყველგან უტყუარად სრულქმნილი, პირუტყვ-მეტყველთა თუ სულიერ-უსულოთა ურთიერთობა სიწრფოებით ჩამოქნილი.

ცხადია, გამოვლენ ისეთნიც, წუნია პატარძლები, რომლებიც რომანს ჩხრეკას დაუწყებენ: „ეს ისე არ არისო“, შეიძლება ზოგ შემთხვევაში მართლებიც იყვნენ როცა რომანში აღწერილი გმირების მიღმა ვერ გადიხედავენ, მაგრამ რომანს მხარს ვერ აუქცევენ, მის მოვლენის მნიშვნელობას ვერ დააფოლებენ...

რომანი დარჩება როგორც ჩვენი დროის სწორუპოვარი ძეგლი .. მაგრამ ჩვენ მისი ავტორისგან კიდევ უფრო უსრულესს ნაწარმოებს მოველით და მოვითხოვთ კიდეც... სხვა რომ არა იყოს-რა „ჯაყოს ხიზნები“ ბუნებრივად უნდა განვითარდეს, გაიზარდოს..

ამის საბუთს გვაძლევს ავტორის ნიჭი, დაკვირვება, ცოდნა და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური თვითშეგრძნება.

კიდევ უფრო სასიამოვნო ის არის, რომ ავტორი—მიხ. ჯავახიშვილი (ადამაშვილი) იმ კუთხის მშრომელი გლეხკაცობის შვილია, საიდანაც არა თუ მწერალ-რომანისტს, უბრალო მკითხველსაც ვერ ვხედავთ, არც გვინახავს; ეს არის ბორჩალოელი (ს. წერაქვიდან, ს. სიონელი) ქართველი გლეხის შვილი, წინამძღვრიანთკარის სკოლელი, მეურნე, შემდეგ პოლიტიკურად დევნილი და საფრანგეთში სამწერლო-სახელოვნო დარგზე აღზრდილი.

სიტყვა კრიტიკას ეკუთვნის.

* *
*

# სახალხო განათლების კომისარს

(სრულიად საიდუმლოთ—Confedencio)

**„დახმარება საზოგადო მოღვაწეს“.**

განათლების კომისარიატმა საზოგადო მოღვაწეს აპოლონ წულაძეს ერთდროული დახმარების სახით გადასცა 150 მან.

„კომუნისტი“ № 92.

საქართველოს ჭაბუკ-ყრმათა განათლების მესაჭეო, ბნელეთისა მოჩირაღდნევ, სწავლა-ცოდნის „კანდელაკო“, ერთი მითხარ, გინდ მიბრძანე რა შეგცოდე მეო. ქვეყნის ყბაში რათ ჩამაგდე, რისთვის დამსაჯეო (მე პატარა კომისარი, ვის ეუფლის, ვის მორჩილობს მეთაფლია ფუტკრის ჯარი).

შარშან გთხოვე დახმარება ერთდროული არ მუდმივი... თქვენც დამპირდით, მაიმედეთ, მომეცემა ოცდაათი მე „ბაჯაღლო“... წლის შემდეგ გამინახევრე, იმით გავხდი მე საბრალო... მაინც დავრჩი მადლობელი—გლოცე ჩემი მწყალობელი... მაგრამ, ვაგლახ, თურმე ფონი გასვლის ჟამს არს დასალოცი; დახმარებამ ამომაგდო, მარცხი მოხდა გასაოცი... მუშკორები, „რაბკორები“, გლეხკორები ისე არს მეჭორები, როგორც იყო წინა დროის გაიძვერა, ენა გრძელა კორესპ-რეპორტიორები...

ერთ-ერთ მათგანს გაუგია ჩემი ეგზომ გამდიდრება, უფიქრია—სახლი იწვის, ხელს მოვითბობ, ჰონორარიც ხომ მერგება, საზოგადო მას მოღვაწის ეგზომ უხვი დახმარება მას გაზეთში ჩაუგდია... ვერ გავბედავ, ვერც შევკადრებ ვუთხრა—თავი აუგდია, მაგრამ ვეტყვი გამდობოდა წყალობას შვა გაუყოფდი, დავრჩებოდი მადლიერი, ნახევარი შემრჩებოდა... ახლა რა ვქნა აღარ ვიცი რითი ვინუგეშო თავი... გახმაურდა კრეზი გავხდი, ყველამ მომაგონა თავი... ზოგი ვალს მთხოვს დავიწყებულს, ზოგი ფულათ მესესხება და ზოგი კი პიტნავასთან „მალარიჩზე“ მეწიწება... და ამ რიგად და ამ გვარად დახმარება, გამდიდრება, დარჩა ჩემთვის „გაკოტრება“...

მეტი არ არს სხვა საშველი, სხვა სახსარი და სხვა ხრიკი, მეც მიშველე და შენ თავსაც მოუძებნე რამ წამალი: მარტო მე ხომ არ ვისჯები, თვით უარესი გემართება,—მაგალითით, პრეცენდენტით, სხვებიც კარზე მოგადგება; კარგად იცი, მოგხსენდება მოღვაწე გვყავს ლეგიონი და იმათ პრეტენზიებსა ვერ გაუძლებ ვერც შენ მგონი... ამისათვის განაცხადე საჯაროთ და გასაგონათ—ყველაფერი ტყუილია, ჭორია და მოგონილი... წულაძის მოღვაწეობა აბა ვინ სთქვა, ვის სმენია, კაცი ისე მოგვიხუცდა დრამაც არ დაუწერია .. (და მიწურულს თუთხმეტ თუმანს დავაბრუნებ ზედ ნადებით—რაკი ასე მიწერია).

სრულიად საქართველოს ფუტკომი **აპ. წულაძე**

# სომეხთა* მსახიობ-მწერალ-მოღვაწენი



პაჰარე.

პაჰარე (ჰაიკ პეტროსიანი) დაიბადა 1895 წ. 2 თებ. ახალ ბაიაზეთის ერთი გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ტფ. სომეხთა ნერსესიანის სკოლაში. მწერლობას დაეწაფა ბავშობიდანვე. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1912 წ. ექიმ გ. ჩეიზიანის ყოველკვ. ჟურ. „სინათლე“-ში ლექსებით. შემდეგ ლექსებს გარდა სწერდა პატარა მოთხრობებს, ბოლოს რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებს და სხ. თანამშრომლობდა ყოველ სომხურ ჟურნალ-გაზეთში. მისი ნაწერების შინაარსია სოფლის ყოფა-ცხოვრება. დაწერილი აქვს პიესებიც: „ზემოსართული“ დრ. 3 მოქ., „ხატის მონა“ დრ. 3 მოქ., „გიულიზარ“ მუსიკ. დრ. 5 მოქ. (მუსიკა დასწერა სომეხ. ახალგაზრდა მუსიკ. ვ. ტალიანმა), „საერთო კრება“, ვოდ. 1 მოქ. ყველა ეს ხშირად იდგმევა სომხურ სცენებზე, უმთავრესად უკანასკნელი, რომელიც თითქმის ხალხურ ანდაზად გარდაიქცა.

სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1919 წ. მიწვეულია რუსთველის თეატრის სომხურ აკადემიურ დასში, სადაც ერთ საუკეთესო ძალთაგანად ითვლება, როგორც ნიჭიერი კომიკი. მისი რეპერტუარია: ბალდასარა (ჰ. პარონიანის „ბალდასარ ძმაო“-ში), სრქო (ლ. სალათელიანის „ერთი ნაჭერი მიწისათვის“-ში), ნაზარი (დ. დემირჭიანის „მამაცი ნაზარა“-ში), დან-ტეი („იმედის დაღუპვა“-ში), გმირი (ი. იურინის „გმირში“) დობჩინსკი (გოგოლის „რევ.“), და სხ. ყოველივე ამის გარდა, პაჰარე კარგი მხატვარიცაა (ხატავს უმთავრესად ბუნებას, ზღვას და სხ.).

1922 წ. 20 თებ. სომხურ მაღალ სკოლების მოწაფეებმა და ამხანაგებმა გაუმართეს სამწერლო მოღვაწეობის 10 წ. აღსანიშნავი საღამო, რომელმაც საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო. პაჰარემ თავის ლექსების პირველი წიგნი „სოფლების ძახილი“ გამოსცა 1925 წ. ამ წიგნით გადატეხა მოახდინა. იგი თუ წინად ძველი სოფლის ყოფა-ცხოვრებას უმღეროდა, უყვარდა მათი ზღაპრული ცხოვრება, ეალერსებოდა მას, ეტრფოდა ბუნებას, სიდინჯეს, გაურბოდა ცხოვრების აურ-ზაურს, ეხლა ყველაფერს ამას ანდერძს უგებს და უმღერის ახალი სოფლის გაღვიძებას, მის საუკუნოების ძილიდამ აღდგომ-გამოცოცხლებას. იგი ყველას მოუწოდებს სოფლისაკენ, მის საშველათ და ფეხზე დასაყენებლად. წიგნში წინასიტყვაობის მაგიერ ერთი ლამაზი ლექსია „პაჰარე“, რომელშიაც ავტორი აღიარებს თავის ცვლილებას, უარჰყოფს მსახიობობას, ტაშს, დაფნებს, უბრუნდება თავის დროებით გაჩუმებულ ჩანგს. თავის ლექსების თემებით (სოფლის შესახებ) იგი ჰქმნის საკუთარ სკოლას, რომელსაც უკვე ჰყავს მიმდევარნი (მაგ ახალგაზრდა პოეტი ვ. ნორენცი და სხ.). წიგნი თანამედროვეა, „პირი სოფლისაკენ“ ლოზუნგის შესაფერი. სომხური კრიტიკა (სომეხთა მარქსისტ-კრიტიკოსი სურხათიანი და სხ.) ქებით შეეგება. სასურველია ქართულად გადმოითარგმნოს.

**სურენ ავჩიანი.**

# აკაკის სამარესთან მთაწმინდაზე

**აპრილის 12 „თ. და ც.“—თაოსნობით**

**გამართულ პანაშვიდზე**

## წარმოთქმული სიტყვები

საქართ. სახალ. უნივერსიტეტისა და დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდის სახელით.

**ჩვენო საყვარელო და სახიძადულო მგოსანო აკაკი!**

დღეს შენი მადლმერთებელი ქართველი ერი შენს წმინდა საფლავს გარს შემოევლება და თავის გულის პასუხს გაგიზიარებს. . . . . დღეს ის შენი დიადი ხსენების წინაშე ფიცს დასდებს და საჯაროდ აღიარებს, რომ მასში უკვდავია თავისი საყვარელი მგოსნის ხსოვნა და სიყვარული. დღეს ქართველი ერი ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს, თუ რა ძლიერია მასში ეროვნული და ზოგად-კაცობრიული სული. თუ რამდენად შეუძლია მას დააფასოს და უკვდავჰყოს ის სახელოვანი მგოსანი, რომელმაც მთელი თავისი სული და გული. შემოქმედებითი ნიჭი და ძალ-ღონე უკლებლივ მიიტანა თავისი საყვარელი ერისა და კაცობრიობისათვის სიყვარულის სამსხვერპლოზე და განაცხადა:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე—მთელი ქვეყანა;
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე
არ. შემიძლია მეც განა?“

და მართლაც, საკმარისია თვალი გადავავლოთ მგოსნის ცხოვრებასა და ღვთაებრივ შემოქმედებას, რომ ნათლად დავინახოთ, რომ მასში ეს ორი ძირითადი მოტივი—ეროვნული და ზოგად-კაცობრიული ერთმანეთთან განუყრელადაა დაკავშირებული და წითელი ზოლივით გასდევს მთელ მის მოღვაწეობას.

ერთს თავის ლექსში აკაკი სთხოვს რუსთველს:

„სულმნათო, ჩვენცა გვასწავე ეგ საიდუმლო ქლერისა:

რომ აგვისრულდეს წადილი, ვიქმნე მგოსანი ერისა-“ო.

აკაკიმ მართლაც ზედ-მიწევნით შეასრულა ეს წადილი: ის სავსებით ჩასწვდა ერის სულსა და გულს, შეიგნო მისი ვითარების შინაარსი, გარდაქმნა იგი მუსიკალუ-

რად და ჩამოასხა თავის ძვირფას ლექს-პოემებსა და მოთხრობებში. ამიტომაც თავის შემოქმედებაში აკაკი ყველაზე უფრო უახლოვდება რუსთველს და ჩვენის აზრით, შემცდარი არ ვიქნებით, თუ მეორეს გვერდით პირველს სწორ-უფლებიან ადგილს მივაკუთნებთ.

„აკაკი იყო ბუნებრივი დემოკრატი და ოპოზიციონერი—ამბობს ერთი ჩვენი პუბლიცისტი,—ეს მას წიგნიდან არ უსწავლია, სკოლიდან არ მიუღია. არა, ეს თვით მის ბუნებაში იყო ბავშვობიდან სტიქიურად ჩანერგილი, ძუძუსთან ერთად მიღებული, მის ხასიათსა და პიროვნებაში გაქსოვილი. . . . . მისი პირადი ცხოვრება, მისი საზოგადოებასთან დამოკიდებულება ისე, როგორც მისი პოეზია, გაჟღენთილი იყო დემოკრატიული და ოპოზიციონური სულით“. *)

დიახ, აკაკი ბუნებრივი დემოკრატი იყო და ამის გამო ის ყველაზე უფრო შეითვისა და შეიყვარა მდაბიო ხალხმა ამ უკანასკნელმა მასში ჰპოვა თავისი გრძნობათა და მისწრაფებათა საუკეთესო გამომხატველი.

თავისი პიროვნება, როგორც მგოსან მოქალაქისა, აკაკიმ საუცხოვოდ დაასურათა ერთს თავის ლექსში—„უდარდო კაცი“ სადაც ის ამბობს:

„ყველასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ,
გულში არ შეუშვებ შურს
და მით ბედნიერი ვარ.
უფროსი თუ უმცროსი
ნებით არვინ მყოლია,
ვისაც ვცნობ და ვინცა მცნობს,
ყველა ჩემი ტოლია.
მიყვარს გაჭირვებული“ . . .და სხ.

თავისუფალი პიროვნება, რომელიც თავისი ნებით არავის არ დაიმონებს და არც დაემონება, გულში შურს არ გაივლებს, ყველა უყვარს, მაგრამ განსაკუთრებით ღარიბი და დაჩაგრული ხალხი—აი აკაკი, როგორც მგოსანი მოქალაქე.

აკაკი ჩვენი საზოგადოებრივი ზნეობის უდიდესი მასწავლებელია, ამის გამო მას ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა მიეთითებია ჩვენს ზნეობრივ ნაკლზე და ჩვენც უნდა მიგვეღო იგი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკაკი ყველაზე უფრო შეითვისა და შეიყვარა მდაბიო ხალხმა, გლეხკაცობამ· ეს გასაგებიცაა. რადგანაც აკაკი განსაკუთრებულის თანაგრძნობით სწორედ ამ მშრომელ ხალხს, გლეხკაცობას ეპყრობოდა, მასში ხედავდა იგი ყველაზე უფრო საღს ელემენტს ჩვენი საზოგადოებისა და მომავალში ჩვენი აღდგენა-დაწინაურება მგოსანს შესაძლოდ მიაჩნია იმდენათ, რამდენადაც მას საფუძვლად დაედებოდა ამ მშრომელი ხალხის, გლეხკაცობის აღდგენა და განვითარება. ამის გამო მგოსანი აღფრთოვანებით მიეგება 1864 წ. გლეხობის განთავისუფლებას, თუმცა ეს ცარიელი, უმიწა-წყლო განთავისუფლება მას არ აკმაყოფილებდა, მაგრამ მაინც ღრმად სწამდა, რომ ეს პირველი ნაბიჯი გლეხკაცობის მიერ გადადგმული, ახალ ნაბიჯებსაც გამოიწვევდა და ამისათვის აღტაცებით უგალობა თავისუფალ გლეხის შვილს:

„გაიზრდები გენაცვალე თავისუფალიო,
ბატონი ვერ შეგაშინებს‘ ვერ გაგტეხს ვალიო·
დიდი-კაცის შვილს სკოლაში გვერდს მოუჯდებიო,
აბა შენ იცი ბიჭო-ჯან, როგორ ეცდებიო·
გლეხს, რომ ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო·
შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო“-და სხ.

ამნაირად, თავისუფალი და სწავლა-განათლებით აღჭურვილი გლეხის შვილი—აი რა დაუდვა მგოსანმა საფუძვლათ მომავალში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებას.

1905 წ. აღსრულდა მგოსნის სურვილი და იწყება სახალხო მოძრაობა. ამ მოძრაობამ აკაკის სურვილსა და მისწრაფებას ფრთები შეასხა. ამ დროს იგი მუდამ ხალხთან არის, მას არ შორდება და მისი მოქმედებით აღტაცებული ამბობს: „დღევანდელ დღეს ისე შევხარით, როგორც დედა შეხარის შვილის პირველ ბიჯის ადგომას· ახალი ფეხადგმული ბარბაცებს, აქეთ-იქეთ ეხლება უსწორ-მასწოროდ, ეცემა, მაგრამ დედა გაორკეცებული სიფრთხილით ადევნებს თვალყურს, რომ არსად გადაიჩეხოს, უხარია კი, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მისი შვილი კუტი არ არის და როცა წამოიზრდება, მაშინ უდედოთაც სწორა გაივლის· ჩვენ ველით იმ დროს აღფრთოვანებით და სიხარულით ვეგებებით დღევანდელ დღეს-“ო. ამ დიად მოძრაობას მგოსანმა განსაკუთრებული ლექსიც უძღვნა, სათაურით—„რწმენა“, რომელშიაც იგი აღტაცებით გაიძახის:

„მადლობა უფალს, რომ მოვესწარი
ჩემი სურვილის აღსრულებასა
და ვით ბულბული, დაბერებული
მეც დროს ვუგალობ „ქებათ-ქებასა“·
მართალი არის სისხლი იღვრება,
არა, მოითხოვს ამას ბუნება!
წყალი ხორცსა ბანს და სისხლი სულსა,
ამას გვიმოწმებს თვით ქრისტეს ვნება.
თვითო-ოროლა კარგიც იჭრება,
რომ იმარგლება სიმინდის ყანა,
მარა ამიტომ მის გათოხნაზე
ხელს იღებს ხოლმე ქვეყანა განა?
მყრალ ბალახებთან ზოგჯერ უეცრად
იჭრება ხოლმე ვარდი და ია!
საქმე არ არის ერთი და ორში!. · ·
საქმეა მხოლოდ თვით იდეია!!

ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას!? · ·

დიადო, ჩვენო მგოსანო, ვაშა მას და ვაშა შენც, როგორც სასახელო მგოსანს, ჭეშმარიტ მოქალაქეს და მამულიშვილს·

დღეს შენგან უკვდავ-ყოფილი და შენი უკვდავ-მყოფელი ქართველი ერი შენს დაუვიწყარ საფლავზე საჯაროდ აღიარებს, რომ შენს დიად სწავლა-მოძღვრებას არ დაივიწყებს და მუდამ გწამდეს იქნება იგი· ამით ასრულდება ის, რაც შენ, დიდო მგოსანო, გარდაცვალების წინ წარმოსთქვი:

„სიკვდილში ვპოებ მე სიცოცხლესა.
და ის იქნება თვით უკვდავება“·

გრ. გაწერელია.

*) ჟურ. „განთიადი“ 1915 წ.—№ 4

*) დანარჩენი სიტყვები შემდეგ დაიბეჭდება. რედ.

# ქართული სტამბის 300 წლის შესრულების გამო

1913 წ. მე დავბეჭდე „ქართული სტამბა 1627—1913 წ.“ ამ წიგნის შედგენის დროს მე ვსარგებლობდი პატრის მიხეილ თამარაშვილის მასალებით, ანთიმოს მღვდელ-მონაზონის (რომელიც სცხოვრობდა ბუხარესტში 1660-1698 წ.წ.), ბუხარესტის აკადემიის და მეფე არჩილ მეორის ცნობებით, უმთავრესად კი პატრი მიხეილ თამარაშვილის წყაროებით. მაშინ (1913 წ.) ჩემს წიგნში ქართული სტამბის დაარსების შესახებ მოვიყვანე ასეთი ცნობები: „ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენს ისტორიაში არის ერთი სახელოვანი კაცი, დიდათ დამსახურებული და ისტორიული პირი, იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის არქიმანდრიტი ნიკოლოზ ირბახი. ეს არქიმანდრიტი აღიზარდა ბიზანტიაში, შეისწავლა აღმოსავლეთის ყველა ტომთა ენები, ასევე ევროპის ყველა ტომთა ენები, უკანასკნელ იგი ბერათ შედგა და ბოლოს აღყვანილ იქმნა იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის არქიმანდრიტათ.

„ეს კაცი თავის დროს იყო დიდათ სახელოვანი და საქართველოს მეფეებისა, მთავრებისა და ხალხისაგან დიდათ პატივცემული. იგი იყო იერუსალიმის ქართველი ჯვარის მონასტრის არქიმანდრიტი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ნახევარზე მეტს იგი საქართველოში სცხოვრობდა: ხან ქართლში, ხან კახეთში, ხან სამეგრელოში და ხან სხვა კუთხეებში. მას მეტათ დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზედ. ამას აჩენს ისიც, რომ სამეგრელოში ყოფნის დროს, მას მეგრელებმა უწოდეს „ჯვარის მამა“; იტყოდენ „ჯვარის მამა“ და არა ნიკოლოზ არქიმანდრიტიო.

25 აპრილს თქვენს („თეატრი და ცხოვრება“-ს) რედაქციაში მსჯელობა იყო ქართული სტამბის დაარსების 300 წ. შესრულების შესახებ. სხვათა შორის, იქ იყო ლაპარაკი ამ ისტორიულ კაცის შესახებ და პატივცემულმა მწერალმა ქრ. რაჭველიშვილმა ბრძანა, რომ ნიკიფორე ირბახი ჩვენში გაუცნობი პირია და კარგი იქნება, რომ ეს კაცი გაცნობილი იქმნეს ჩვენს ისტორიაშიო. ეხლა პატივცემულის ქრ. რაჭველიშვილის საყურადღებოდ მოვიყვან აქ იმ ცნობას, რაც კი ჩვენ ხელთ გვაქვს. ეს ცნობები ნათელს ფენენ, რომ ნიკ. ირბახი ქართველი იყო და არა უცხო ტომის კაცი.

ამის საფუძველს გვაძლევს XVIII საუკ. მცხოვრები იეურსალიმში მოგზაური ტიმოთე მთავარეპისკოპოსის მოგზაურობა და მისგან აღწერილი თავისი მოგზაურობის წიგნი, რომელიც 1852 წ. ქ. ტფილისში ცალკე გამოსცა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა.

ტიმოთე ეპისკოპოსი თავის მოგზაურობის აღწერაში ცხადათ აღიარებს, რომ ნიკოლოზ არქიმანდრიტი იჩნა ქართველი, გვარად ჩოლოყაშვილი, დიდათ ნასწავლი, ქებული მთელს საქართველოში; ამისათვის იგი სწერს შემდეგს: „კაცი სახელოვანი წინამძღვარი მცხეთის ქალაქის და მოძღვარი კახეთის, ოდიშის, სოფელ კოცხელაურისა, იერუსალიმის ჯვარის მონასტრისა და გოლგოთას სამკვიდროსა ჩვენისა არქიმანდრიტი“ და სხვანიც ასეთნი რაც მე არ მომყავს აქ.

აქედან კარგად სჩანს, რომ ჭეშმარიტად ეს ნიკოლოზი თავის დრ ს საქართველოში, ქართველ ხალხისაგან დიდათ პატივცემული ყოფილა, ნამეტურ ოდისში, მეგრელთაგან, რაისა გამო მე ერთხელ შეცდომა მომივიდა და ერთ ჩემს წიგნში („ქართველ კათოლიკეთა სასულიერო პირთა მოძღვარნი“ გამოცემა 1905 წ. თბილისი) ამას გვარათ **ირბახია** უწოდე, ე. ი. მე იგი მეგრელათ მოვნათლე,—ირბახია მეგრელია მაშ რა არის, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა: ეს მოხდა ჩემის შეცდომით.

ამ ნიკოლოზს სხვებიც მოიხსენებდნენ. სხვათა შორის, მას მოიხსენებს და დიდათ აქებს მოგზაური შარდენი, მისიოერი ზამპიც; მას ახსენებენ რომის პაპის კრებებზედ მომხდარ ლაპარაკის ცნობებიც, რაც დაცულია რომის არქივებში და რაც მ. თამარაშვილსაც მოჰყავს იგი თავის ისტორიაში. ნახეთ ამაზე „კათოლიკოპის ისტორია საქართველოში“, 1905 წ. ტფილისი.

ამიტომ ეხლა ჩვენც მოვიყვანთ ამ კაცის ცნობას აქ, ვინაიდან იგი არის რომის ქართული სტამბის სულის ჩამდგმელი:

1614 წ. შაჰაბაზი დაეცა ქართლ-კახეთს, აიკლო და ააოხრა. ამ დროს სჩანს ნიკოლოზი საქართველოში ყოფილა, იგი ქართველ ერს ამოურჩევია მოწინავე კაცათ, მისთვის მიუნდვია ევროპაში წასვლა და იქ სხვადასხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკება საქართველოს მდგომარეობის შესახებ. შარდენი ამბობს, რომ **მას მიტომ მიანდეს ქართველებმა ეს მგზავრობა ევროპაში, სადაც იგი რამდენჯერმე იყო, იცოდა ევროპიული ენები და იყო მასთან სახელოვინი დიპლომატი ქართველი ერისა.“**

1616 წ. მოხდა ნიკოლოზ არქიმანდრიტის გამგზავრება საქართველოდან ევროპაში. 1617 წ. ნიკოლოზ არქიმანდრიტი უკვე რომში იყო, ამა წლის ბოლო რიცხვებში იგი წარუდგა რომის პაპს ურბან VIII-ეს და საქართველოს შესახებ ცნობები მოახსენა, თითქმის ცრემლით შესტირა საქართველოს ამბები. პაპმა მოისმინა ნიკოლოზის ცნობები და იქვე მას პასუხი მისცა.

კითხვებსა და დავალებაში ყველაზედ დიდათ პაპმა ყურადღება მიაქცია იმ კითხვას, რომ ნიკოლოზ არქიმანდრიტმა პაპს გადასცა ცნობა, რომ ყველაზედ დიდათ ქართველებისათვის საჭიროა ქართული სტამბა, რადგანაც სტამბა არა აქვს ქართველებსაო.

მოხდა პაპის გამგეობაში მყოფ კარდინალების კრება. აქ განიხილეს ნიკოლოზის განცხადება და 1619 წ. დაადგინეს, რომ რომის ტახტმა უნდა გახსნას ქართული სტმბა. ნიკოლოზ არქიმანდრიტის შესახებ კარდინალთა კრებამ ასეთი საქებარი განაჩენი დაადგინა, რაიც აუწყეს ნიკოლოზს:

**„ვინაიდან „პროპაგანდოს“ კრებამ კარგად დაიხსომა თქვენი ბრძენი მოქმედება და განსა უთრებული გულმოდგინება, რაც აქ ყოფნის დროს გამოიჩინეთ საქმეთა წარმოებაში“.**

ამ ხნის განმავლობაში გავიდა თითქმის რამდენიმე წელიწადი და, როგორც იქნა „კონგრეგაციამ“—დაადგინა და დაამტკიცა ქართული სტამბის დაარსება რომში 1623 წ: ამის შემდეგ ნიკიფორე ირბახი ცნობილ იქნა მთელს ევროპაში, როგორც საქართველოს ერის ნიჭიერი დიპლომატიური წარმომადგენელი.

რადგანაც მან კათოლიკის სჯული მიიღო რომში, ამიტომ მას სახელი გამოუცვალეს და ნიკოლოზის მაგიერ **ნიკიფორე** უწოდეს და გვარიც **ირბახი.**

ასე და ამ გვარად, რომის ტახტი სტამბის გამზადებას შეუდგა 1623 წ. ქართული ანბანი ასოების ყალიბები ჩამოასხეს 1624 წ. ქართული ასოების ნიმუშის ფურცელი დაბეჭდეს 1625 წ. ამის შემდეგ პირველი ქართული წიგნი გამოიცა 1627 წ. ეს წიგნი არის ქართველ კათოლიკეთათვის დღიური ლოცვის წიგნი, პატარა ტანის სულ 128 გვერდია. ეს წიგნი ჩვენ არსად გვაქვს დაცული. მეორე წიგნი დაიბეჭდა 1629 წ.

პატივცემულ დავით კარიჭაშვილის მიერ მოყვანილი ცნობა ჟურნალ „წიგნის მეგობარში“ ეხება ამ მეორე წიგნის გამოცემას რაც იყო 1629 წ. და არა პირველ წიგნს, რომელიც გამოიცა 1627 წ. მოკლეთ კი უნდა ითქვას, რომ ქართული წიგნის ამ ასოებით ბეჭდვას **სინათლე მიეცა** 1625 წ. **ბეჭდვა ამ წიგნის დაიწყო,** იგი დიდი წიგნი იყო, თუ პატარა, ჩვენ ამის ძიებაში არ შევდივართ. **პირველად ქართულმა ასოებმა ბეჭდვის სინათლე ნახა 1625** წ. ამას ასაბუთებს, სხ. შორის, პატრი მიხეილ თამარაშვილის ცნობებიც, და **ქართული სტამბის დაარსების თარიღათაც** 1625 წ. უნდა დაიდოს.

**ზ. ჭ.**

ცალკე №-ს ფასი 10 კ. [illegible] ,,თეატრი და ცხოვრება"-ს დამატება № 17

# თვითმშრომელთა ხმა

1925 წ. № 1 მაისის 17

## ხელოვნება და ხელოსნობა

(საკამათო წესით)

ისტორიის ჩარხის უკუღმართმა ტრიალმა ხალხი დაჰყო მრავალ ერებად და კლასებად. ამ ერებმა და კლასებმა შეჰქმნეს თავიანთებური კულტურა, ზნე ჩვეულება, სარწმუნოება და სხ., რომელმაც ერთმანეთისგან გათიშა ეს ერები და კლასები. ამას მოჰყვა დაუსრულებელი ომები და უდანაშაულო ხალხთა ხოცვა-ჟლეტა. მთელი სიმძიმე ამ მხეცური ომებისა აწვა კისერზე თვითმშრომელ ხალხს და მრავალ მილიონიან წლების განმავლობაში ისე ამოდიოდა და ჩადიოდა ბრწყინვალე მზე, რომ მუშათა კლასისთვის ჯერ გაზაფხული არ დამდგარიყო. მოხერხებული და გაიძვერა ელემენტი: მეფეები, კეისრები, სხვადასხვა დროის და ტიპის სამღვდელოება, მოწინავე წოდებანი ადვილად ახერხებდნენ გაბატონებას უსწავლელ და ბნელ მასსაზე. ადამიანმა თავისი მხეცური ინსტიქტით და ეგოიზმით ნამდვილ ტყის მხეცს გადააჭარბა ათასჯერ. იგი ისე ჩაეფლა უსვინდისობის და ეგოიზმის წუმპეში, რომ თავის პირად ჟინს და სურვილს ანაცვალებდა თუ გინდ ათას მილიონ ხალხს.

ამ მხეცურად მადა-აშლილ ადამიანის ველურ ინსტიქტს ცოტაოდნად ლაგამი ამოსდო მწერლობამ და ხელოვნებამ. მწერლობა—ეს სარკეა ჩვენი წარსული და მომავალი ცხოვრებისა, იგი მძლეთამძლე მსაჯულია, რომლის წინაშე თვით ძლიერნიც ამა ქვეყანისა უძლურნი და საცოდავნი არიან. თეატრი—ეს განსახიერებაა წარსული და მომავალი ცხოვრების უარყოფით და დადებითი მხარეების. მუსიკა—ეს ხომ საყვირია, რომლის ტკბილი, თუ მწუხარე ჰანგები ელექტრონის ნაკადივით გაუვლის ადამიანის სულს, გულს და მთელ სხეულს. მხატვრობა—ეს ხომ სამარადისო ძეგლია კაცობრიობის უარყოფითი და დადებითი მხარეების. აი, ამიტომ მოხერხებულმა მეფეებმა და ბურჟუაზიამ შესძლეს ამ ხელოვნების მთავარ დარგთა თავიანთ ბატონობის განსამტკიცებელ ყავარჯენად გამოყენება; მეფეები დიდ პატივს სცემდნენ მწერლებს და თავიანთ სასახლეშიაც ინახავდნენ. ამას იმიტომ სჩადიოდნენ ეს მბრძანებელნი, რომ პოეტს უნდა აეჟღერებია თავისი ჩანგი იმ ჰანგზე, რომელიც მეფის სულს და გულს ეამებოდა. ამ გვარად მწერლები, მომღერლები, მხატვრები და არტისტები ჩამოაშორეს მშრომელ მასსას და ხელოვნების დანარჩენ დარგებს ე. ი. **ხელოსნებს.** ეს გათიშვა ხელოსნებისა ისეთი გაღრმავებული აღმოჩნდა თავის ტრადიციით, რომ თვით სოციალისტურ-კომუნისტურ ხელისუფლების დროსაც კი არსებობს ცალკე ხელოვანთა კავშირი და ცალკე ხელოსანთა, რაიც დაუშვებელი და მიუღებელია ვინაიდან ხელოვნება და ხელოსნობა ერთი და იგივეა და განისაზღვრება კარგი და ცუდი ნახელოვანით და არა არტისტ-პოეტით და მეწაღეთი. თვით სიტყვა **ხელოვანი** წარმოსდგება **დახელოვნებულისაგან**, მაშასადამე ვინც დახელოვნებულია თავის ხელობით, ვინც უნდა იყოს იგი სულ ერთია: მეწაღე, მჭედელი, თუ პოეტი, არტისტი და სხ. ბურჟუა არტისტი აბა როგორ გაუყადრებდა თავს მუშას; იგი ქუჩაში რომ დადიოდა იქაც იმ ტონით ლაპარაკობდა როგორც სცენაზე. ასე ამპარტავნად ეჭირა მას თავი. დღეს მუშათა ხელისუფლების დროს ასეთი ამპარტავნობა, რასაკვირველია, მიუღებელია და ამიტომ ამიერიდან ხელოვნების ყველა დარგები უნდა შეერთდნენ და მოხდეს დემოკრატიზაცია არტისტების, პოეტების, მუსიკოსების, მხატვრებისა და სხ. კარგად და კოხტად შეკერილი ფეხსაცმელი, ტანსაცმელი ანუ სხვა რაიმე ხელით გაკეთებული ნივთი, რომელის სილამაზეც ადამიანის თვალს წარიტაცებს და გულს ესიამოვნება, განა ხელოვნება არ არის?! განა ის არტისტი, რომელიც გამოვა სცენაზე და ბოძივით დადგება, სიტყვებს გაიმეორებს ისე ვით ავტომატი, ხელოვანია?! განა ის პოეტი, რომელიც სწერს ისე, რომ მისი ლექსთა წყობა და რითმათა ჰარმონია დამტვრეულ-დანჯღრეულ ურმის ჭრიალს წააგავს, ხელოვანია?! განა შეიძლება ასეთ ფინაჩებს ხელოვანი უწოდოთ?!

მაშასადამე, დასკვნა ისეთია, რომ ხელოვნება პოეზიის და სხვათა დარგით კი არ განისაზღვრება და განიხილება, არამედ შემოქმედებითი უნარით. აი, ერთი მთავარი დანიშნულება და მიზანთაგანი ხელოვნებისა—გააშუქოს ეს დაბნელებული საკითხი.

ჩვენი გამოცემა მიზნათ ისახავს შეებრძოლოს ამ საუკუნოებით შექმნილ ყალბ შეხედულებას ხელოვნებასა და ხელოსნობაზე და შეუწყოს ხელი ნამდვილ ხელოვნების შექმნას, ყველა ხელოსნობის დარგებში და არა მარტო პოეზიას, მუსიკასა და სასცენო დარგებში.

გაუმარჯოს ხელოვნებისა და ხელოსნების გაერთიანებას ერთ კავშირში!

**ვარლამ ჩლაიძე**

## თვითმშრომელთა საკითხი

ვინც კარგად გაეცნობა თვითმშრომელთა ყოფა-ცხოვრებას, მათს ეკონომიურ და პოლიტიკურ მხარეს, იგი დაინახავს, რომ ეს ხალხი სწორედ საცოდავია. დღემდე ამ ხალხისთვის არავის სერიოზული ყურადღება არ მიუქცევია (თუ არ მივიღებთ მხედველობაში თვითმშრომელთა კავშირის დაარსების შემდეგ ჩემს ხუთმეტიოდე წერილს გაზ. „ტრიბუნა“-ში); დღემდე ეს ხალხი ბურჟუებად იწოდებოდა, დღეს იცნეს ნახევრად პროლეტარებად, რა თქმა უნდა, ესეც არარის მიზანშეწონილი. თვითმშრომელები რესპუბლიკაში უნდა იყვნენ ისეთივე სრულუფლებიანი მოქალაქენი, როგორიც პროლეტარიატია და სარგებლობდნენ ყველა იმ შეღავათებით, რითაც პროლეტარიატი სარგებლობს.

საქართველო წვრილი სამეურნეო ქვეყანაა, რომელმაც ოქტომბრის რევოლიუციასაც კი დაუტოვა ფეოდალური ნაშთები. მრეწველობა ფეოდალურ ქვეყანაში აბა საიდან განვითარდებოდა, როდესაც, სხვადასხვა ისტორიულ პირობათა გამო, ბევრი შრომას თაკილობდა. მრეწველების და პროლეტარიატის ადგილი ჩვენში დაიკავა წვრილმა ხელოსნობამ. ამ შემთხვევაში ეს წვრილი ხელოსნები ქების ღირსნიც არიან, არა თუ გათანასწორებულნი უნდა იქმნენ პროლეტარიატთან. ვინ არის თვითმშრომელი ხელოსანი?

რადგან ჩვენში არ არის საკმაო ქარხნები, რომ ამა თუ იმ ხელოსანმა იქ იმუშაოს, ამიტომ ეს უმუშავარი სესხულობს ნაცნობ-ნათესავებისაგან ორიოდე გროშს, ყიდულობს ჩაქუჩს, ნემსს მცირე ხელსაწყო იარაღს, ქირაობს ერთ პატარა კუნჭულს ამა თუ იმ დუქანში, რომელიც სახელოსნოც არის მისთვის, საცხოვრებელი ბინაც და ცხოვრობს საკუთარი ოფლით.

თუ კარგ ადგილას ვერ იშოვა დუქანი, ამ შემთხვევაში, იგი საყოფ საქმეს ვერ შოულობს, ნახევარჯერ სიმშილს განიცდის და ათასჯერ უარეს პირობებშია, ვიდრე ქარხნის მუშა. თუ ვიტყვით, რომ ზოგი ხელოსანი უკეთეს პირობებში იმყოფება, განა ყველა მუშები ერთნაირ პირობებში იმყოფებიან?! განა სპეცი და უბრალო ერთნაირად ჯილდოს ღებულობენ? განა ეს ორივე უკანასკნელნი პროლეტარებათ არ იწოდებიან და ერთნაირი უფლებით არ სარგებლობენ? როდესაც ხელოსნებს ვთიშავთ პროლეტარიატისაგან, ასეთი განსხვავებით ჩვენ უნერგავთ მათ თავში იმ აზრს, რომ ისინი ნახევრად ბურჟუები არიან და არა ნამდვილი მუშები, მაშასადამე, ჩვენ შეგვაქვს მათში ბურჟუაზიული და კონტრრევოლიუციონური სულისკვეთება. ხელოსანი ასე ამბობს: რაკი მე არა მთვლიან ნამდვილ მუშად, მაშასადამე მირჩევნია ვიზრუნო იმისთვის, რომ მართლაც ბურჟუა გავხდეო და მთელი მისი სიმპატია ბურჟუებისაკენ მიემართება. ყველა ის ელემენტი, რომელსაც სოციალიზმი არაფერს წაართმევს, არის სოციალისტურ შრომის სამეფოს სრულუფლებიანი წევრი. რას წაართმევს თვითმშრომელს სოციალიზმი? ნემსს, ჩაქუჩს და ზინგერის მანქანას?! განა სოციალიზმი მათ ამაზე მეტს არ მისცემს? ყოველივე ხელსაწყო იარაღები, რომლის მეოხებითაც ზოგიერთები ხელოსნებს უწოდებენ ბურჟუებს, წარმოადგენენ ღირებულებას ხელოსნისთვის იმდენად, რამდენადაც იგი მისი არსებობისათვის საჭიროა. ძალიან იშვიათია ისეთი ხელოსანი, რომელიც რვა საათს მუშაობდეს. თვით ამ სტრიქონების დამწერი მუშაობს დღეში სულ ცოტა 12-13-14 საათს.

ადამიანის ბუნება ასეთია, რომ თუ მას ცხოვრება ძალას არ ატანს, რომ იმუშაოს, იგი გაურბის ამ შრომას და ზარმაცობს. ხელოსანს თავისი სოციალური მდგომარეობა პირდაპირ უბრძანებს, რომ იმუშაოს 13-14-15 საათი, წინააღმდეგ შემთხვევაში სიმშილით მოკვდება. განა სოციალიზმის დროს ხელოსანი იმუშავებს 8 საათზე მეტს? ეს რა სოციალიზმი იქნება, თუ ამაზე მეტი იმუშავა?! პირიქით, გაუმჯობესებული ტეხნიკის შემწეობით, მან უნდა იმუშაოს 3-4 საათი, უარეს პირობებში-5-6 ს.

სულ სხვაა გალაღებული ბურჟუა, რომელიც უდარდელ და უშრომელ ცხოვრებას ეწევა. თავისთავად ცხადია, რომ იგი შეურიგებელი მტერი იქნება სოციალიზმისა, რადგან მას სოციალიზმი ართმევს და არას აძლევს.

ყველა ამ ზემორე მოსაზრების გამო, დაუყოვნებლივ უნდა გათანასწორებულ იქნენ ხელოსნები პროლეტარიატთან ყოველს უფლებაში და გამოიცეს აგრეთვე დეკრეტი, რომლის ძალითაც, დასჯილ იქნეს ის პიროვნება, რომელიც თვითმშრომელ ხელოსანს ვაჭარს, ბურჟუას და სპეკულიანტს უწოდებს. მუშათა კლასის სხვადასხვა კატეგორიებად და ჯგუფებად დაყოფა და მეტნაკლები უფლებების მინიჭება მათთვის მიუღებელი და დაუშვებელია სოციალისტურ-კომუნისტური თვალთახედვით, ვინაიდან ასეთი დაყოფით, ჯერ ერთი, იქსაქსება რევოლიუციონური ფრონტი და მეორეც—ასეთი დაყოფით იქმნება ახალი კლასები.

ჩვენ ვიცით, რომ თავადები და ბურჟუები ციდან არ ჩამოსულან, არამედ ხალხმა შექმნა ისინი ასეთი დაყოფით მშრომელებისა. დღევანდელი საშინაო ლა საგარეო მდგომარეობა და პირობები გვიკარნახებენ, რომ დავრაზმოთ პროლეტარიატის რიგებთან ყველა ის ელემენტები, რომელთაც სოციალიზმი არასფერს ართმევს და პირიქით აძლევს. დღეს საერთაშორისო მასშტაბით რეაქციას იერიში მიაქვს რევოლიუციაზე, საჭირო არის აქ მჭიდროდ შეკავშირება ყველა მშრომელებისა. **ასეთ დროს სხვადასხვა პარტიულობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ხელისუფლებაც უნდა ეცადოს, შეიტანოს ენტუზიაზმი რევოლიუციის დაცვისა ყველა მშრომელებში.**

შორაპნის მაზრის თვითმშრომელთა საზოგადოების რწმუნებული და პასუხისმგებელი ინფორმატორი

ვარლამ ჩლაიძე.

# რა გააკეთეთ, რას ვაკეთებთ?

**დასავლეთ საქართველოს თვითმშრომელთა ყრილობა**

ხელოსნები—ეს ძველი რევოლიუციონური ელემენტია, რომელიც უწინ სისტემატიურად გაურბოდა ბატონს და ქალაქისაკენ მიისწრაფვოდა, რადგან ეს ქალაქში გარდახვეწა და ხელოსნობის დაწყება მას ანთავისუფლებდა ბატონების ულლიდან. დღეს ამ ელემენტს რევოლიუციის მაჩანჩალის როლშიც უძნელდება გამოსვლა. საბედნიეროდ ხელოსნები გამოფხიზლების გზას დაადგნენ და, ჩვენდა სასიხარულოდ, დასავლეთ საქართველოში, ხელოსანთა მოძრაობა თვალსაჩინოთ გაიზარდა.

ეს მოძრაობა ნამდვილ მუშურად დაიწყო ჭიათურიდან.

ჭიათურაში ფილიპე ხელაძის, ამ ძველი კოოპერატორის თაოსნობით დაარსდა შორაპნის მაზრის „თვითმშრომელთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტი“. ხელაძემ შეაკავშირა მთელი მაზრა, მისცა ამ მოძრაობას რევოლიუციონური ხასიათი და ჩააყენა ის თავის ბუნებრივ კალაპოტში.

სამაზრო კომიტეტი შესდგება ცხრა კაცისაგან, პრეზიდიუმი—სამი კაცისაგან. კომიტეტის თავმჯდომარეა ხელაძე, მდივანი—გ. სიხარულიძე. შემდეგ ამავე ფ. ხელაძის და სხ. თაოსნობით დაარსდა დასავლეთ საქართველოს „თვითმშრომელ ხელოსანთა მთავარი კომიტეტი“, რისთვისაც მოწვეულ იქნა კონფერენცია თვითმშრომელების

ქუთაისში, მიმდინარე წლის 21 იან. დაესწრო სოც. უზრუნველყოფის სახკომი კ. ხომერიკი და ინსტრუქტორი ნ. გვანცალაძე, ქუთ. მაზრის სოც. უზრ. ინსპექტორი მ. პაიჭაძე, ბათომის თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელი ამხ. გიორგი სპანაკი და სარიანი არტავაზო, ფოთიდან ამხ. გოგავა, გვაჯია და ლეკიშვილი პლ., შორაპნის მაზრიდან: ხელაძე და გველესიანი. ოზურგეთიდან: თიკანაძე და წიტაიშვილი, რაჭის მაზრიდან: კეკელიძე ილ. ქუთაისის თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოებიდან: დ. რიმნისთაველი, კოწია ლორთქიფანიძე, მ. ბუაძე, ალ. ვასაძე, ალ ნოვიკოვი, კომისიის წევრები, დელეგატები, სხვადასხვა საზოგადოების წევრნი და დაინტერესებული პირნი.

კონფერენცია გახსნა ქუთ. თვითმშრომელ საზ. თავმჯდომარემ ლორთქიფანიძემ, რომელმაც უსურვა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა. მისი წინადადებით კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ლენინის ხსოვნას. პრეზიდიუმში აირჩა კ. ხომერიკი, კ. ლორთქიფანიძე და გ. სპანაკი. საპატიო თავმჯდ.: ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია და კალინინი. ხომერიკის წინადადებით კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა „ცეკა-ს და ცაკ-ს.“ ამასთან ხომერიკმა მოკლედ დაახასიათა ლენინის შეხედულება, თუ იგი როგორ მფარველობდა ხელოსნებს და უსურვა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა. შემუშავდა დღის წესრიგი: 1] ს. ს. რ· კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა, 2) მოხსენებანი ადგილებიდან, 3) საზოგადოების მორიგი ამოცანები, 4) სრულიად საქ. თვითმშრომელთა ყრილობა, 5) დროებითი კომიტეტი და მისი არჩევა, 6) პრესა, 7) მიმდინარე საკითხები.

ს. ს რ. კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ქუთ. სამაზ. პარტ. წარმომად. ამხ. ლეჟავამ. მან აღნიშნა დადებითი მხარეები ერთი წლის მუშაობისა ულენინოდ, შეეხო ევროპის იმპერიალისტების ხრიკებიან პოლიტიკას, აღნიშნა, თუ როგორ დაიჭირეს გამოცდები საბჭოთა კავშირის მუშებმა სხვადასხვა ფრონტებზე, როგორი გიგანტიური ნაბიჯით სწარმოებს აღმშენებლობითი მუშაობა ეკონომიურ და კულტურის ფრონტებზე, რის დასამტკიცებლად მოიყვანა ზოგიერთი ციფრი.

მეორე საკითხის შესახებ ილაპარაკა შორაპნის მაზ. წარმომადგენელმა ამხ. ხელაძემ. მიესალმა რა კონფერენციას, უსურვა გამარჯვებით დაგვირგვინება დაწყებული საქმისა, აღნიშნა რომ შორაპნის მაზ. აერთებს ჯერჯერობით 600 წევრს, მოიხსენია ყველა ის სიძნელენი, რომელიც ელობებოდა მაზრის შეკავშირებას დ აბრკოლებდა აგრეთვე წესდების უქონლობა. ზესტაფონის წარმომადგენელი ამხ. მ. გველესიანი აღნიშნავს თითქმის იმასვე და ამბობს: ზესტაფონი აერთებს ჯერჯერობით 120 წევრს. ეძლევათ ზოგიერთი დახმარება. ბათომის წარმომადგენელი ამხ. გ. სპანაკი მიესალმა კონფერენციას და წარმოსთქვა: ბათომის ორგანიზაციაში გაწმენდამდე ირიცხებოდა 968 წევრი, გაწმენდის შემდეგ 400 წ. კულტურული მუშაობის მხრივ წინ მიდის. **ხელოსანთა საზოგადოებებს უნდა ეწოდებოდეს კავშირი და ხელოსნები უნდა გათანასწორებულ იქნენ ყოველგვარ გადასახადებში პროფკავშირის წევრებთან.** ფოთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფოთი აერთებს 40 წევრს. მიზეზი ამ მცირე რიცხვოვანებისა გამოიხატება ფინინსპექტორების მიერ ხელოსნების შეუბრალებლად და უკანონოდ სხვა და სხვა გადასახადებით დაბეგრვაში. რადგან ეს ასე ხდება, ხელოსნებს ზედმეტად მიაჩნიათ საზოგადოებაში წევრებათ ჩარიცხვა. ამასვე ამბობს ფოთის მეორე წარმომადგენელი მ. გვაჯია. და ყველა ორატორები ერთხმად. ონის (რაჭის მაზრა) ორგან. წარ. ი. კერესელიძე ამბობს, რომ ონი აერთებს 40 წევრს. მიზეზი ამ სიმცირისა ისაა, რომ მათ არა ჰყავთ ხელმძღვანელ-ინსტრუქტორები. ამასვე იმეორებს ოზურგეთის წარმომადგენელი გ. თიკანაძე. ქუთ. ორგ. ხელმძღვანელი ამხ. დ. რიმნისთაველი აღნიშნავს, რომ ქუთაისი აერთებს 770 წევრს, მოწყობილია უფასო ექიმობით და წამლობით. შეგირდები უნდა იქნენ დაზღვეულნი იმ საზოგადოებაში, რომელშიაც შედიან მათი გამზრდელი ხელოსნები, რადგან ამ საზოგადოებაში ყოველგვარი გადასახადები ნაკლებია ვინემ დამზღვევ კასაშიო.

მორიგ ამოცანების განხილვის დროს ამხ. კ. ხომერიკმა განუცხადა ყრილობას, თუ რა უფლებებს ანიჭებს თვითმშრომელებს საბჭოთა ხელისუფლება და დაინახა რა, რომ კონფერენცია ერთსულოვანად ეკიდება თავის დასახულ მიზნებს, სიამოვნებით აღნიშნავს მომავალი ნაყოფიერი მუშაობისათვის ზოგიერთ გამოსავალ გზებს. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) აღიძრას შუამდგომლობა სოც.-უზ.-ყოფის სახ. კომისარიატის წინაშე დაჩქარებით იქნას შემუშავებული დებულება და წარედგინოს „ცაკ“-ს დასამტკიცებლად. 2) აღიძრას შუამდგომლობა სახფინკომისარიატის წინაშე, რომ ნება მოგვეცეს ყოველგვარ გადასახადების გაწერის დროს გამწერ კომისიის სხდომაზე ესწრებოდეს ხელოსნებისაგან წარმომადგენელი. 3) კონფერენცია საჭიროდ სცნობს ყოველივე ზემოთ ნათქვამის სისრულეში მოსაყვანად გაიგზავნოს ქ. ტფილისში 4 კაცისაგან შემდგარი კომისია და დაავალოს მას საზოგადოების წესდება და მათვე დაევალოს მიიღონ მონაწილეობა დებულების გამომუშავებაში. ტფილისში გასაგზავნათ არჩეულ იქნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ. სპანაკი, ფ. ხელაძე, გ. თიკანაძე და კ. ცაგარეიშვილი. 4) სრ. საქ. თვითმშრომელთა ყრილობის შესახებ დაადგინეს: გამორკვეულ იქნას შესაძლებლობა სრულიად საქართველოს თვითმშომელთა ყრილობის მოწვევის შესახებ. 5) პრესსა ამხ. ხელაძის წინადადების თანახმად კონფერენციამ დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა ადგილობრივ პრესის რედაქციებთან, რათა ხელოსანთა საზოგადოებას ეთმობოდეს ფართედ ადგილი წერილებისთვის გაზეთებში. 6) დასავლეთ საქართველოს თვითმშრომელთა დროებით კომიტეტის დაარსების შესახებ ამხ. კ. ხომერიკმა აღნიშნა, რომ საჭიროა დაარსდეს დასავლეთ საქართველოს თვითმშრომელთა ცენტრალური კომიტეტი, რომლის მოვალეობასაც შეადგენს, უმთავრესად, ხელმძღვანელობა გაუწიოს დასავლეთ საქართველოში არსებულ თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოებებს. კონფერენციამ საჭიროდ დაინახა ხსენებული კომიტეტის დაარსება და აირჩია შემდეგი პირები პლენუმში: კ. ლორთქიფანიძე, გ. სპანაკი, ს. გოგავა, ფ. ხელაძე, გ. თიკანაძე, ნ. სალარაძე, კ. ცაგარეიშვილი. ვინაიდან ზუგდიდიდან და სოხუმიდან, სხვა და სხვა მიზეზების გამო, დელეგატები არ დაესწრნენ, ამისათვის ეცნობთ მათ, რომ თავიანთი მხრიდან დაასახელონ თავ-თავიანთი წარმომადგენლები, რომელნიც შევლენ პლენუმში. დასასრულ კონფერენცია მადლობას უძლვნის სოც: უზრუნველყოფის სახკომს კონფერენციაზე დასწრებისათვის.

## მეორეთ მოსვლა

სჭექავს მეხი, ცისა გრგვინვა
აჰა, ისმის კიდით-კიდე;
ამ სტიქიონს ძველი კოშკი
გადურჩება განა კიდე?!

ვერა, ვერა, ველარ გასძლებს,
მას დაფერფლავს ცეცხლის ალი;
შემდეგ მოჰფენს თვისსა სხივებს
მზე ბრწყინვალე მომავალი...

ვარლამ ჩლაიძე.

## რედაქციისაგან

დიდი ხანია ვგრძნობდით და გვინდოდა თვითშრომელთა საკუთარი ორგანოს გამოცემა, მაგრამ, მძიმე პირობების გამო, ეს ვერ მოვახერხეთ. ამიტომ „თეატრი და ცხოვრებიდან“ ვიწყებთ სამსახურს თვითშრომელების და ხალხური კულტურისას. შეიძლება განვითარებული მკითხველისათვის ეს პირველი ნომერი ჩვენი გაზეთისა ვერ იყოს დამაკმაყოფილებელი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რა პირობებშიაც გამოდის ეს გაზეთი, ვერავინ რას გვისაყვედურებს. ეს ნომერი სასწრაფოდ არის გამოშვებული. ამიერიდან რედაქცია მოუწოდებს, არა მარტო ხელოსნებს, არამედ ყოველი დარგის მწერალ-მოღვაწეთ, რომელთაც სურთ ხალხთან ახლოს დგომა და ხალხისათვის შრომა, სწერონ და მოგვაწოდონ მასალები მშრომელი ხალხის ცხოვრებიდან, ამავე ხალხის გასაგებ ენაზე დაწერილი. მწერალი უნდა იყოს ხალხში და არა ხალხისაგან დაშორებული იჯდეს კაბინეტში და იქ სწერდეს ხალხზე. ხელოვნება უნდა იქნეს ნამდვილი ხალხური და აკი სწორედ ეს გაზეთიც მშრომელი ხალხის წიაღიდან წარმოიშვა. როდესაც ყველა მწერალი ხალხს დაუბრუნდება და კაბინეტის მწერლები აღარ იქნებიან, აი, ამ დროს დადგება, მხოლოდ, აყვავების ხანა ჩვენი ხალხური მწერლობისა და ამავე დროს ხალხის ცხოვრებისა. საჭიროა ხალხის თავგამოდებრლი მუშაანი:

„გმირებს დაეძებს, უყივის,
ჩვენი დაფი და ნაღარა“.

## კორესპოდენტ-თანამშრომლებს

საქართველოს ყოველი კუთხის თვითშრომელნო შემოკრბით თქვენი გაზეთის გარშემო. შეუწყეთ ხელი მის გავრცელებას, მოგვაწოდეთ ცნობები თვითშრომელთა ცხოვრებიდან, აღწერეთ ყოველივე უარყოფითი და დადებითი მხარეები თქვენი ცხოვრებისა. მიაქციეთ ყურადღება, როგორც მთელი ადგილობრივი კავშირის მოქმედებას, აგრეთვე თითოეულ თვითშრომელის ზნეობრივ საქციელს, ვინაიდან სანამ ხალხი ზნეობრივად არ გარდიქმნება, არ გასპეტაკდება ამ მხრივ, მანამ ზედმეტია ლაპარაკი ყოველს იდეალზე, სამართლიანობაზე, ძმობა-ერთობაზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე. გაუწიეთ მეგობრული კრიტიკა ყველა თვითშრომელთა კავშირების მოღვაწეობა-მოქმედებას; გაუწიეთ მეგობრული კრიტიკა ამ სტრიქონების დამწერსაც, სადაც და როდესაც საჭიროდ დაინახოთ. ხელი შეუწყეთ ხელოვნების წინმსვლელობა-განვითარებას. წერილები უნდა იქნეს დაწერილი სუფთად, გარკვევით, ქაღალდის ცალ გვერდზე.

## თვითშრომელთა ცხოვრება

**„შორაპნის მაზრის თვითშრომელ ხელოსანთა სამაზრო კომ‑ტეტი“** დაარსდა ფილიპე ხელაძის მეთაურობით ქ. ჭიათურაში.

**„დასავლეთ საქართველოს თვითშრომელთა ცენტრალური კომიტეტი“** დაარსებულ იქნა მიმდინარე წლის იანვრის 22 ქ. ქუთაისში მოწვეულ დასავლეთ საქართველოს თვითშრომელთა კონფერენციის მიერ.

**სრულიად საქართველოს თვითშრომელთა ყრილობა,** დასავლეთ საქართველოს თვითშრომელთა ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით, ამ მოკლე ხანში, მოწვეულ იქნება ქ. ტფილისში. ეს ყრილობა დაარსებს სრულიად საქართველოს თვითშრომელთა ცენტრალურ კომიტეტს.

**თვითშრომელთა კოოპერატივს** ამ მოკლე ხანში გახსნის ტფილისის თვითშრომელთა კავშირი. სათანადო მუშაობა უკვე სწარმოებს.

**დასავლეთ საქართველოს** თვითშრომელთა კომიტეტის დელეგაცია ესტუმრა ტფილისის თვითშრომელთა კავშირს და სთხოვა მიიღოს მონაწილეობა სრულიად საქართველოს თვითშრომელთა ყრილობის მოწვევის მუშაობაში. დელეგაციის წევრნი ფ. ხელაძე, კ. ლორთქიფანიძე და თიკანაძე.

## სახელოვნო ქრონიკა

**ჩვენი მხატვარი პროფ. მ. თოიძე** სწერს პიესას „კავკასიონის თვალი“, 5 მოქ. პიესაში ასახულია უძველესი წარსულის შორეულ მომავალთან შეერთება. საქართველოს იხსნის თავისი განვლილი კულტურა და ხელოვნების აყვავება. შესაფერ დეკორაციებს თითონვე ხატავს.

**დამსახურებულ მუსიკოს ზ. ჩხიკვაძეს,** რომელიც 40 წ. მეტია რაც სამშობლო სამუსიკო ასპარეზზე მოღვაწეობს, შეკრებილი ჰქონია 200-ზე მეტი ხალხური სიმღერა-საგალობელი, რომლებიც გამომცემელს ელის. საჭიროა ყურადღება მიექცეს და დროით გამოიცეს, როგორც სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო.

**რ. კ. მუშათა ფაკულტეტის** სტუდენტთა ტრადიციული საღამო ორი წლის არსებობის აღსანიშვავად გაიმართა 9 V. პრეზიდიუმში იყვნენ მუშები ამხ. არაქელას თავმჯდომარეობით. მოხსენება გააკეთა ისმ იობიძემ. მოკლე ხანში მუშფაკი ძლიერ დაწინაურებულა. მოწაფეები დიდს უნარს იჩენენ. მიულოცეს სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, მათ შორის „თეატ. და ცხოვ.“ რედაქტორმაც. მოწაფეთაგანვე შემდგარია დრამატიული დასი და გუნდი. რუსულად დასდგეს „გენერალი ბარკლაევი“, ქართულად „შეშინებული ანთიმოზი“, რაიც ცოცხლად ჩაატარეს. დიდი სასცენო უნარი გამოიჩინეს მარგალიტაძემ, ბერიძემ, ტალაძემ და განსაკუთრებით ალ. ქვარელმა. აბ. იობიძისა და სერ. მალაქოვის ლოტბარობით რამდენიმე სიმღერა შეასრულეს. მუშფაკელთა პროლეტარულმა მწერლებმა საკუთარი ლექსებიც წარმოსთქვეს. განსაკუთრებით ნიჭიერი საკუთარი ლექსები წარმოსთქვეს ალ. ქვარელმა და ლეო გრძნეულმა. უხუცეს რევოლუციონერს არ. ოქუაშვილს ტაშით შეეგებნენ. დაესწრო დიდძალი მოწაფეობა.

# აკაკის ხსოვნისა და ძეგლისათვის

ა. წ. აპრ. 6 ჟურ. „თეატრი და ცხოვრება„ ს თაოსნობით მცირეთეატრში აკაკის ხსოვნისათვის გამართულ საღამოზე შემოვიდა 348 მან. 20 კ. დაიხარჯა 196 მ. 33 კ. დარჩა 139 მ. 87 კ. (ასალებია 12 მ.) ამ საღამოს ხელი-შეუწყეს თავისი სრულიად უსასყიდლო მონაწილეობით: ქეთ. ანდრონიკაშვილმა, მარგ. ანდრონიკაშვილმა, გ. ბოკერიამ, გ. დავითაშვილმა ივ ელიაშვილმა, გ. ვენაძემ, ნინო ლაფერაშვილმა, ძმ. კრავეიშვილებმა, ელ. მამაცაშვილმა, ალ. ოლანეზაშვილმა ნიკ. ქუმსიაშვილმა და მარგ. ქიალრჯიშვილმა, აგრეთვე მცირე თეატრი უფასოდ დაგვითმო გამგემ (მხოლოდ შუქის, მუშების და ტანისამოსის შემნახველის გადავიხადეთ), თეატრის კომენდანტი სხირტლაძე და დეკორატორი იოს. ბერიანიძე უანგაროდ დაგვეხმარნენ, რისთვისაც ყველა ზემორე ხსენეულ პირთ საღამოს მომწყობ კომისიის სახელით ღრმესი მადლობა ეცხადება. პასუხისმგებელი: **იოსებ იმედაშვილი**

## ,,თეატრი და ცხოვრება''-ს რედაქციას.

მე-4-ხე ცხრა წლიანი შრომის სკოლის მიერ მოწყობილ საღამო-წარმოდგენის (რომელიც გაიმართა ა. წ. 10-თ აპრილს მცირე თეატრში ჩვენი ერის სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთლის ძეგლის ფონდის სასარგებლოდ) შემოსავალი 254 მან. დანახარჯი 174 მან. დარჩა 80 ან., რომელ თანხასაც გაახლებთ ამ ანგარიშთან ერთად ხსენებული ფონდის მისამატებლად, ამასთანავე ერთად საღამოს მომწყობი კომისია, თანახმად სკოლის პედაგოგიური საბჭოს დავალებისა, ღრმეს მადლობას უცხადებს შემდეგ პირთ: სახელმწიფო დრამის უფროს მოკარნახე სოლომონ (პაჭუ) ქორდანიას იმ უანგარო შრომისათვის, რომელიც მან დასდო უსასყიდლოთ მეოთხე შრომის სკოლას—პიესის მომზადებასა და მის მხატვრულად დადგმაში; ამავე თეატრის მსახიობს—აკაკი ვასაძეს სალიტერატურო განყოფილებაში უსასყიდლოდ მონაწილეობის მიღებისათვის, პერინის სტუდიის მოწაფეს ლილი გვარამაძეს ბალეტში უსასყიდლოდ მონაწილეობისათვის და აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ამა თუ იმ სახით საღამოს მოწყობა-ჩატარებაში.

საღამო-წარმოდგენის მომწყობი კომისიის თავმჯდ.

ივ. ბ. ურუშაძე. მდივანი **ზ. ხატიაშვილი.**

# სათეატრო მიმოხილვა

**ქ. გორის მუშათა კლუბში** 2 V. დ. აბდუშელის საბენეფისოდ დაიდგა ნ. შიუკაშვილის „სულელი“ სულელის როლს ასრულებდა თვით მობენეფისე, რაც საუცხოოდ შეასრულა. მონაწილეობდენ შ. კორინთელი, სდ. გრიქუროვი, ი. მახარაშვილი, ვ. მურადოვი, ალ. გვერწითელი, ნინო ერისთავისა, კ. კვალიაშვილისა და კეჟერაძისა. პიესა კარგად იყო დადგმული და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. **გრ. ლა—შვილი.**

**სიღნაღში** მთელი კულტურული საქმიანობა სწარმოებს მუშათა კლუბის გარშემო.

ამ კლუბთან დაკავშირებულია ქართული დრამა, სახალხო უნივერსიტეტი, ლენინის კუთხე; სისტემატიურად იმართება კინო, სხვადასხვა კულტურული გასართობნი, აქვეა ბიბლიოთეკა.

ადგილობრივ დასის მიერ უკანასკნელ ორ თვის განმავლობაში დადგმულ იქნა რამოდენიმე პიესა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. შიუკაშვილის „მეგობრები“ და „ცისკინათელა“ (უკანასკნელი პირველად). ყველა შემსრულებელნი თავის სიმაღლეზე იდგნენ. მეტადრე მოსაშვილი, შავლიაშვილი, ტყავაძისა, ბოსტაშვილი თ., წულაძე და სხვ.

აპრილის 11 დასდგეს ლეონიდ ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, რომლის დადგმა პაწია სცენაზე ძლიერ ძნელია. შემსრულებელნიც მოისუსტებდენ. გამონაკლისს შეადგენდა ს. შავლიაშვილი (ონუფრი), რომელმაც ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი ტიპი მოგვცა ძველი სტუდენტისა.

მოსაშვილს (გლუხოვცევი) და ტყავაძეს (ოლ-ოლ) ჰქონდათ კარგი ადგილები, მაგრამ საერთოდ ამ ტიპებს სწორ განსახიერებისათვის მათ სჭირიათ კიდევ დიდი მუშარბა. საზოგადოთ პიესამ მკრთალად ჩაიარა, ზოგი შემსრულებელთ სრულიად ვერ შეეგნოთ, რომ ისინი ერთს სცენაზე ძველ მოსკოვის სტუდენტებს წარმოადგენდენ და არა ჩვენებურ კინტოებს.

სახალხო უნივერსიტეტში კვირაში ორჯერ იმართება პოპულიარული ლექციები. ყველა მუშა-მოსამსახურე მსმენელებათ არიან ჩაწერილი. ლექციებს აუარებელი ხალხი ესწრება. სწავლის სურვილი ბევრს აქვს. საჭიროა ზოგიერთმა ლექტორმა თავი დაანებოს მაღალფეროვან სიტყვებით ლაპარაკს,—ნუ ივიწყებენ, რომ აუდიტორია მუშურია და მუშებს კი გასაგებ ენაზე უნდა ესიუბრონ.

**სიმონ ჯიხაიშელი.**

**ველისციხეს** თეატრის გამგ. კომიტეტი განახლდა. თეატრის კომისრად მიიწვიეს ამხ. რაჟდენ შავლაშვილი, რომელიც თეატრის დიდი თანამგრძნობელია. რეჟისორის ლ. ჭავჭანიძის მაგივრად აირჩიეს დროებით რეჟისორად გ. ბეჟანოვი. გამგეობა იწვევს ახალ რეჟისორს (მისცემს კარგ ჯამაგირს და ბინას) და მხატვარს დეკორაციების დასახატავად. **ჩაქუჩი.**

# ქრონიკა

**„თეატრი და ცხოვრება“-ს** საიუბილეო საღამო გაიმართება მაისის 28. ამ საღამოზე მონაწილეობენ სხვადასხვა დარგის ხელოვანნი. სხვათა შორის, დამსახურებული მსახიობი ქალი ქეთო ანდრონიკაშვილი და ძველი სცენის მუშაკი არ. ციხისთავი იცეკვებენ ძველებურ კახურ დავლურსა და ლეკურს.

**აკაკის ძეგლის** აგების შესახებ ცნობებისთვის მსურველთ მიმართონ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციას (რუსთაველის პრ. № 34) დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

**აკაკის სამარის** დასაცავად კედლის გაკეთებისათვის „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციამ სათანადო ადგილას განცხადება შეიტანა.

**ტფ. აღმასკომის თავმჯდომარის** ამხ. ლადო სუხიშვილის განკარგულებით დაინიშნა ინჟინერ-ტეხნიკოსთა სასწრაფო კომისია გ. ქურდიანის ხელმძღვანელობით აკაკის სამარის უკან კედლის გასაყვანად, კომისიამ უკვე დაათვალიერა ადგილი და სათანადო ხარჯთაღრიცხვაც შეადგინა.

**მ. თოიძის სამხატვრო სტუდიის** გამოფენა გაიმართება მაისის ბოლო რიცხვებში.

**ტფ. აღმასკომის ჯანმრთელობის** განყოფილების გამგე პატივცემული ექიმი ილ. დიმ. მამულია გამოეხმაურა ჩვენს მოწოდებას ავადმყოფ დრამატურგის ტრ. რამიშვილის შესახებ („თ. და ც.“ № 9) და ერთდროული დახმარების სახით მისცა 100 მან. ტრ. რამიშვილის მდგომარეობა ისეთია, რომ საჭიროა მისი საჩქაროდ გაგზავნა სანატორიუმში.

**დამსახურებულ მასწავლებლის მიხ. ბეჟანიშვილის.** 40 წ. სამასწავლებლო მოღვაწეობის შესრულების აღსანიშნავად საზეიმო დილა გაიმართება ამ მოკლე ხანში ტფ. ერთ-ერთს სასწავლებელში. სურათსა და წერილს შემდეგ მოვათავსებთ.

**მგოსნები ი. გრიშაშვილი და მარიჯანი** კახეთს თელავს) გაიწვიეს, ხოლო აქედან ყვარელს. სადაც გრიშაშვილს დიდის პატივისცემით შეეგებნენ და ვარდყვავილებით დადაფნეს.

**მგოსანი გ. ქუჩიშვილი** სიღნაღს გაიწვიეს საგანგებო საღამოში მონაწილეობისათვის, სადაც დიდის პატივისცემით შეხვდნენ.

თაელიტი № 786 ხელმძღვანელი: **კოლეგია** რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი.** ტირ. 1750

პოლიგრაფტრესტის მე 2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3

## მიიღება 1925 წლის ხელის მოწერა

სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალ

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**1910 წ.** XV წელიწადი გამოცემისა XV **1925 წ.**

**„თეატრი და ცხოვრება“-ს წლიური ხელისმომწერნი მიიღებენ:** ჟურნალის გარდა, ყოველ სამ თვეში ერთხელ **უფასო პრემიას**—წელიწადში **ოთხ წიგნს „ცხოვრების სარკე“-ს**, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება **სარეპერტუარო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.**

**„თეატრი და ცხოვრება“** გაგზავნით, ოთხივე დამატებით, ღირება წლიურად—**10 მან., ხელის მომწერი** ფულის შემოტანა წაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მკათათვის 1-ისთვის 2 მან., ოქტომბრის 1-ისთვის—3 მ., **ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში: ტფილისი, რუსთველის პრ. № 34.—რედაქცია ღიაა: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.

**პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.**

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ **იმედაშვილი.**

## „თეატრი და ცხოვრება“

15 წლის თავის აღსანიშნავი ნომერი გამოვა შემდეგი ხუთშაბათისთვის

**გაორკეცებული, მრავალის სურათით და სხვადასხვა მასალით**

## აკაკის ბ ა რელიეფი

**აკაკის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად**

ნამუშევარი ვ. კ—სი, გამოცემა „თეატრი და ცხოვრება“-სი

**მსურველთ მოიკითხონ:**

„თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში (რუსთველის პრ. № 34)

**მუშებს, მასწავლებლებს და მოწაფეებს შეღავათიან ფასებში**

## „თეატრი და ცხოვრება“-ს საიუბილეო საღამო

გაიმართება

**ხუთშაბათს ამაღლება დღეს მაისის 28/**

**რუსთველის თეატრში**

წიგნთ-დასაკავში სახელოსნო

## ძმ. უმიკოვებისა

ტფილისი, წყნების ქ. № 2, რ. ლუქსემბურგის ძეგლას პირდ.

**იღებს ყოველგვარ დასაკავშავ საქმეებს**

**ასრულებს დროზე, შექიზათ და ზომიერ ფასებში.**

ფოტოგრაფი

## ვ. ჩლაიძე.

**პლეხანოვის პრ., № 147**

**იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სურათებს**

ადიდებს პორტრეტებს, ტუშითა და ფერად საღებავებითაც

**შეკვეთა სრულდება მხატვრულად**

**ფოტოგრაფიის უკანასკნელი ტეხნიკის თანახმად**

**სუფთად და თავის დროზე** (5—2)

რესტორანი

## „მცხეთა“

(ვერის დაღმართის ქიმში, ყოფ. ზემელის აფთიაქის ქვეშ)

ევროპიული და აზიური საჭმელები

**ახალ-ახალი სანოვაგით**

**სადილი** 1—6 საათამდე

**ვახშამი** ღამის 3 ს-მდე

ყოველთვის მოიპოვება

**მცხეთის პიროშკი**

დაკლებული ფასებით.

პატივისცემით **სერგო კახეთელიძე.**

**ფოტოგრაფია ევ. უვანიასი**

(რუსთაველის პრ. № 8, „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სასახლის პირდაპირ)

**ასრულებს ყოველგვარ**

## საფოტოგრაფიო სამუშაოს

**სუფთად,**

**ხელოვნურად,**

**სწრაფად** (8—6)